ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია

რეზიკო მუჯირიშვილი

მენტალური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირების გაშუქება მედიაში

(ანი მურადელის შემთხვევის ანალიზი)

ნაშრომი შესრულებულია ჟურნალისტიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მაია ტორაძე

ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2023

ანოტაცია

კვლევის მიზანია მენტალური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირების საკითხების გაანალიზება ანი მურადელის ქეისის მიხედვით. კვლევაში ვცდილობთ დავადგინოთ, თუ რამდენად დაცულია ეთიკური ნორმები ონლაინ მედიასაშუალებებში.

შერჩეული თემის საკვლევი პერიოდია 2017 – 2021 წლები.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, რაოდენობრივი და შინაარსობრივი კონტენტ-ანალიზის მეშვეობით, დავითვალეთ სტატიების რაოდენობა და შევისწავლეთ და გავაანალიზეთ სხვადასხვა ონლაინ მედიასაშუალების მიდგომები მენტალური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირების საკითხების გაშუქებისას.

ასევე, საკვლევ კითხვებზე პასუხების მისაღებად ჩავატარეთ სიღრმისეული ინტერვიუები კომპეტენტურ პირებთან.

კვლევა საკითხის სწორად გაშუქებაში ხელს შეუწყობს ჟურნალისტებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან და მუშაობენ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირების საკითხებით.

სარჩევი

ანოტაცია 2
შესავალი 4
ლიტერატურის მიმოხილვა 8
საკითხის ისტორია..... 13
კვლევის დიზაინი 15
კონტენტ-ანალიზი 17
სიღრმისეული ინტერვიუ..... 31
დასკვნა 41
ბიბლიოგრაფია 43

შესავალი

მენტალური ჯანმრთელობის ტერმინის მიღმა დგას ემოციური, ფსიქოლოგიური და სოციალური კარგად ყოფნის შეგრძნება. ის გამოიხატება ჩვენს ყოველდღიურ ქმედებაში, ფიქრსა და შეგრძნებაში, ასევე მოიცავს, თუ როგორ შეგვიძლია სტრესთან გამკლავება და გადაწყვეტილების მიღება. ის მნიშვნელოვანია ცხოვრების ნებისმიერ ეტაპსა და ასაკში - ადრეული ბავშვობიდან - ღრმა მოხუცებულობამდე.

სპეციალისტების დასკვნით, მენტალური ჯანმრთელობა ნიშნავს ინდივიდის ფსიქოლოგიურ, სოციალურ და ემოციურ კეთილდღეობას ანუ უნარს - შევძლოთ გამკლავება სტრესთან, შევიტანოთ ჩვენი წვლილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში[1].

დღევანდელ რეალობაში, თემის სენსიტიურობიდან გამომდინარე, მენტალური ჯანმრთელობის თემების მიმართ ბეჭდური მედიის, ონლაინ მედიის და ტელემედიის მხრიდან ინტერესი იზრდება. თემა გამოირჩევა სენსაციურობით და, ამ მიზეზით, მედია ამწვავებს, ამახინჯებს, აკომიკურებს და ხშირად არომანტიზირებს კიდეც მენტალური ჯანმრთელობის საკითხებს. ამას საფუძვლად ხან არასაკმარისი ცოდნა უდევს, ხან - ოპერატიულობის დაუძლეველი სურვილი და პირდაპირი ჩართვის ხარვეზი სდევს თან და ხანაც სენსციურობის ჟინი სძლევს ხოლმე მედიასაშუალებებს. არადა, ასეთ მგრძნობიარე თემაზე მუშაობის სიძნელიდან გამომდინარე, თუ მენტალური ჯანმრთელობის საკითხები სწორად გაშუქდება, ეს გაზრდის საზოგადოების ცნობიერებას და პრობლემის სწორად დანახვის შესაძლებლობას.

ხშირია მედიის მიერ საკითხის/პრობლემის არასწორად წარმოჩენის ნეგატიური გავლენა ინდივიდებზე, საზოგადოებასა და ფსიქიკური ჯანმრთელობის უფრო ფართო სფეროზე. ამიტომაც მედიას გაშუქების დროს უდიდესი პასუხისმგებლობა

---

[1] მენტალური ჯანმრთელობა;
https://redmed.ge/blog-new/mentaluri-anmrteloba/235?selectedLanguage=ka; (ბოლო ნახვა 16.02.2024

აკისრია აუდიტორიის მიმართ. მას შეუძლია ჩამოაყალიბოს აღქმა და დამოკიდებულება ფსიქიკური ჯანმრთელობის მიმართ.

უნდა ითქვას, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხები ბოლო წლებში მედიაში უფრო ხილვადია, რაც პოზიტიური ნაბიჯია სტიგმის შემცირებისა და ცნობიერების ამაღლებისკენ. იშვიათი არაა სტატიების, სატელევიზიო შოუებისა და ფილმების ნახვა, რომლებიც ეხება ფსიქიკური ჯანმრთელობას. ცნობილი სახეები და საზოგადო მოღვაწეები ტელეეკრანებიდან უფრო გახსნილები გახდნენ საკუთარ ფსიქიკურ მდგომარეობაზე საუბრისას და ამ პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ფსიქიკური ჯანმრთელობა საერთო კეთილდღეობის მნიშვნელოვანი კომპონენტია და მისი მნიშვნელობა ბოლო წლებში სულ უფრო და უფრო მეტ აღიარებას იძენს. მედია, როგორც მძლავრი საკომუნიკაციო ინსტრუმენტი, გადამწყვეტ როლს თამაშობს საზოგადოების მიერ პრობლემის აღქმის, მის მიმართ დამოკიდებულებისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხების გაგებაში.

ტრადიციულად, ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ მედია ხშირად სტერეოტიპებს, სენსაციურ ნარატივებსა და სტიგმატიზებულ დამოკიდებულებებს აშუქებდა. ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირების გამოსახულებები ხშირად არაზუსტი იყო, ფოკუსირებული იყო მხოლოდ ნეგატიურ ასპექტებზე ან წარმოადგენდა მათ როგორც საშიშ და არაპროგნოზირებად ადამიანებად. ამგვარმა გამოსახულებებმა ხელი შეუწყო მცდარ წარმოდგენას და დისკრიმინაციას, შექმნა ბარიერები დახმარებისა და მხარდაჭერის მოძიებაში.

თუმცა, მედიის წარმოდგენები არ არის მხოლოდ ნეგატიური. იყო შემთხვევები, როდესაც მედია ცდილობდა, გაექარწყლებინა ის სტერეოტიპები, რომლებიც ხალხს მენტალური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირების მიმართ გააჩნდა. გადიოდა სატელევიზიო გადაცემები, ფილმები, რომლებიც ფსიქიკური ჯანმრთელობას შეეხებოდა. მსგავსი შინაარსის მქონე გადაცემებმა თუ ფილმებმა

აუდიტორია ემპათიური გახადა, რამაც ხელი შეუწყო ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ადამიანთა მიმართ თანაგრძნობას. ტელევიზია და კინო არის ძლიერი მედიუმი, რომელიც ასახავს და აყალიბებს საზოგადოების დამოკიდებულებას.

მედიის მიერ დამკვიდრებული სტერეოტიპები იწვევს სოციალურ იზოლაციას და დისკრიმინაციას, რაც ხელს უშლის ინკლუზიური და მხარდამჭერი საზოგადოების შექმნის მცდელობებს. ის აყალიბებს ინდივიდუალურ დამოკიდებულებას და აღქმას ფსიქიკური ჯანმრთელობის მიმართ. მედიის წარმოდგენები არა მხოლოდ გავლენას ახდენს აღქმებზე, არამედ შეიძლება გავლენა იქონიოს ქცევაზე, განსაკუთრებით დახმარების თხოვნისა და მკურნალობის კონტექსტში. საჭიროა, მედია მხარს უჭერდეს ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ ინიციატივებს, რადგან ის ხშირად გადამწყვეტ როლს თამაშობს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში. მაგ., ჟურნალებსა და გაზეთებში კარგად ჩანს, თუ როგორ არის გაშუქებული ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხები ახალ ამბებში, ანალიზურ მასალებსა და მოსაზრებებში. ბეჭდური მედიის ტენდენციების შესწავლა საშუალებას გვაძლევს გავიგოთ, თუ როგორ უწყობს ხელს წერილობითი სიტყვა ფსიქიკური ჯანმრთელობის უფრო ფართო თხრობას.

ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ სოციალურ დისკურსს ასევე ხელს უწყობს. სარეკლამო და მარკეტინგული მასალები. ამ ნაწილში ვხვდებით, თუ როგორ არის ასახული ფსიქიკური ჯანმრთელობა რეკლამებში, როგორ განიხილავს ის ფსიქიკურ კეთილდღეობასთან დაკავშირებულ პროდუქტებს, ასევე დაუკავშირებელ პროდუქტებს, რომლებიც ფსიქიკური ჯანმრთელობის თემებს იყენებენ. ფსიქიკური ჯანმრთელობის რეპრეზენტაციის კომერციული ასპექტის შესწავლა გადამწყვეტია იმის გასაგებად, თუ როგორ შეიძლება ამ სეგმენტმა გავლენა მოახდინოს მომხმარებელთა აღქმასა და შესყიდვის ქცევაზე.

რაც შეეხება, სოციალური მედიას, ის გაჩნდა, როგორც დინამიკური პლატფორმა, რომელზეც დისკუსიები ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ რეალურ დროში ვითარდება. სოციალურ მედიაში ვხვდებით, თუ როგორ უზიარებენ ადამიანები ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ, როგორ ყალიბდება საზოგადოებრივი აზრი ფსიქიკური ჯანმრთელობის თემების ირგვლივ და რა გავლენა აქვს ცნობილი ადამიანების მოსაზრებებს ამ საუბრების ჩამოყალიბებაში. აქვე უნდა ითქვას, რომ სოციალურ ქსელშივე ვრცელდება დეზინფორმაციები და მყარდება მავნე სტერეოტიპები, რის შემდეგაც მენტალური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირების მიმართ დისკრიმინაცია იჩენს თავს. ინფლუენსერებს საქართველოში დიდი აუდიტორია ჰყავთ. მათ შეუძლიათ, რომ ადამიანებს, რომლებიც თითქოს გაურბიან ან "ეშინიათ" ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირებზე საუბარს, სწორად მიაწოდონ ამ თემის მნიშვნელობა და გააქარწყლონ ამგვარი დამოკიდებულება.

ლიტერატურის მიმოხილვა

არსებობს ფაქტორები, რომლებიც მენტალური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირებს განასხვავებენ იმ ადამიანებისგან, რომელთაც ეს არ აქვთ. ასევე სხვადასხვა მახასიათებელი აქვს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებსაც (Ríssola, 2020).

მკვლევრები აღნიშნავენ, რომ მედია ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანების შესახებ ინფორმაციას დისკრიმინაციულად ავრცელებს, აყალიბებს სტიგმას და იმ ადამიანებს რომელთაც ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები აქვთ, საფრთხის შემცველად განიხილავს (Klin, 2008).

კვლევა „Media Representation of Mental Disorders: A Study of ADD and ADHD Coverage in Magazines from 1985 to 2008“ (მსგავსად Anat Klin,Dafna Lemish-ის ნაშრომისა) იკვლევს, თუ როგორ ახდენს მედია მენტალური ჯანმრთელობის პრობლემების სტიგმატიზაციას. მენტალური ჯანმრთელობის პრობლემები - ADD/ADHD ნორმალიზებულია, მაგრამ ეს მედიის მხრიდან არ ჩანს (Ray, 2009).

კვლევაში (An emotion and cognitive based analysis of mental health disorders from social media data. *Future Generation Computer Systems*) გამოთვლითი მეთოდების საშუალებით, ნაჩვენებია თუ რამდენად შესაძლებელია მონიტორინგის ენა დაეხმაროს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების ნაადრევად გამოვლინებას (Uban, 2021).

მედია, ხშირად, გაუაზრებლად ავრცელებს ინფორმაციას, რომელმაც, შესაძლოა, ადამიანებში ნეგატიური განწყობები განავითაროს. მაგალითად, მედია ბისექსუალ ადამიანებს ხშირად უარყოფით კონტექსტში განიხილავს და მათ მიმართ ნეგატიურ სტერეოტიპებსა და სტიგმას აყალიბებს. ამგვარი მასალების გამოქვეყნებისას არ არის გააზრებული, თუ რამდენად სახიფათო ხდება მსგავსი საკითხების გაშუქება ბისექსუალი ადამიანების ცხოვრებაში, იზრდება თუ არა იმის რისკი, რომ მათ

დეპრესია, შფოთვა დაეწყებათ ან სუიციდის მაჩვენებელი მოიმატებს. კვლევაში (Bisexuality, Mental Health, and Media Representation) ნაჩვენებია, რომ ბისექსუალური ლიტერატურის, მედიის წარმომადგენლობისა და მენტალურ ჯანმრთელობის შორის კავშირის არსერბობს. ამავე დროს, ის, უპირველეს ყოვლისა, ბისექსუალურ საკითხებს (ბიფობია) და ამ ტიპის ადამიანების ფსიქოლოგიურ მდგომარეობას შეისწავლის. შემდეგ განხილულია, თუ როგორი კავშირი აქვთ მედიას და ფსიქიკური ჯანმრთელობას ბისექსუალების ცხოვრებაში (Johnson, 2016).

მსოფლიო მასშტაბით უამრავი ადამიანი დეპრესიით გამოწვეული ტკივილით იტანჯება. მიუხედავად ამისა, რაოდენობრივად ბევრად ნაკლები ადამიანი აქცევს ამ პრობლემას სათანადო ყურადღებას. სოციალურ მედიაში გამოქვეყნებული პოსტები მენტალური ჯანმრთელობის პრობლემების გასაგებადაც გამოიყენება. სოციალურ ქსელში მსგავსი გასაჯაროებული ინფორმაცია დაეხმარებათ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანებს, რომ საკუთარ მენტალურ ჯანმრთელობას მეტი დრო დაუთმონ და შეიმუშავონ გზა პრობლემის დასაძლევად (Choudhury, 2013).

ბოლო პერიოდში უამრავი ადამიანი განიცდის სოციალური მედიის უარყოფით ზეგავლენას მოზარდებზე. ზოგიერთი კვლევის თანახმად, სოციალური მედია სახიფათო არ არის, პირიქით, ის, შესაძლოა, უამრავი ბენეფიტის მქონე იყოს, თუმცა ყველა განხილვა ამავე აზრს არ იზიარებს. ზოგიერთი კვლევა აჩვენებს, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, სუიციდისკენ მისწრაფება, შესაძლოა, სოციალური ქსელების შედეგი იყოს.კვლევაში(Social Media Use and Mental Health among Young Adults) მკვლევრები 467 მოზარდის სოციალური მედიის გამოყენების სიხშირეს დააკვირდნენ. კვლევისას მათ შეხვდათ ისეთი პოსტები, რომლებიც ყურადღების მისაპყრობად იყო გასაჯაროებული, თითქოს, რაიმე სამომავლო მცდელობის მესიჯი იყო. საბოლოოდ, შედეგების თანახმად, სოციალური მედია არ არის მენტალური ჯანმრთელობის პრობლემების წინაპირობა (Berryman, 2017).

დეპრესია კაცობრიობის უდიდეს პრობლემას წარმოადგენს. ხშირ შემთხვევაში, დაავადებას არ აღიარებენ, რის შედეგადაც მკურნალობა მეორეხარისხოვანი ხდება. ამის ერთ-ერთი მიზეზი, სწორედ რომ, დეპრესიის უარყოფა და ასევე, საზოგადოების სტიგმაა მოცემულ საკითხზე. დღეს ადამიანები სოციალური მედიის გამოყენებით საკუთარ ემოციებს ექსპრესიის საშუალებას აძლევენ. მკვლევრები ტვიტერს ფარულად აკვირდებოდნენ - რა შინაარსის შემცველი იყო ტექსტი, როგორი ვიზუალით იყო გამოქვეყნებული და სხვა. ისინი ავითარებენ მიდგომებს, რომლებიც ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანების ამოცნობაში დაეხმარებათ. ამასთან ერთად, კვლევა (Multimodal mental health analysis in social media. *Plos One*) საზოგადოებას ინფორმაციას მიაწვდის მოსახლეობისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის კავშირის შესახებ (Amir Hossein Yazdavar, 2020).

არსებობს კვლევები, რომლებშიც გამოკვლეულია, რომ ახალგაზრდები სოციალურ მედიას იყენებენ როგორც განათლებისთვის, ისე ექსპრესიისთვის.სამი თვის განმავლობაში ექვსი ფოკუს ჯგუფი ჩატარდა. მათ დიდი ბრიტანეთის სხვადასხვა სკოლიდან 11-იდან 18 წლის ჩათვლით 54 მოზარდი გამოიკითხეს. შედეგად, გაიკრკვა, რომ ახალგაზრდებს სოციალური მედიის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ.

კვლევაში(Is social media bad for mental health and wellbeing? Exploring the perspectives of adolescents. *SAGE journals*) სამი თემა გამოიკვეთა. ესენია:

- სოციალური ქსელი ზოგიერთ მოზარდში შფოთს იწვევს;
- სოციალურ ქსელს კიბერბულინგის აპლიკაციად განიხილავენ;
- ახალგაზრდები სოციალურ ქსელზე დამოკიდებულები ხდებოდნენ.

მკვლევრები აცხადებენ, რომ უნდა ჩატარდეს კვლევები, რომლებიც უნდა ფოკუსირდეს სოციალური მედიის მიზნებზე, მოზარდებში მის გამოყენებასა და მათსავე კეთილდღეობაზე. ასევე, ის ახალგაზრდების განათლებაზე უნდა

კონცენტრირდეს, რადგან მათზე მოქმედი ნეგატიური პროცესები მართვადი გახდეს ((O'Reilly, 2018).

ინფორმაციები,რომლებიც ყოველდღიურად კოვიდ-19-ის შესახებ საჯაროდ ვრცელდება,შესაძლოა,მენტალური ჯანმრთელობისთვის სახიფათო აღმოჩნდეს.ამ ფაქტზე ხაზგასმა,რომ ვირუსზე სისტემატური ახალი ამბები ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველია,საზოგადოებაზე უარყოფითად იმოქმედებს.მედია კრიზისული კომუნიკაციის არასაკმარისი პრაქტიკის გამო,კოვიდის შესახებ ცრუ ინფორმაციების გავრცელებას ვერ ეწინააღმდეგება.ვერ მოიპოვება ნაშრომები იმასთან დაკავშირებით,თუ როგორ შეიძლება კრიზისული კომუნიკაციის პრაქტიკა გაუმჯობესდეს.ეს კვლევა ასახავს,თუ რამდენად საშიშია კოვიდ-19-ზე გამოქვეყნებული არასწორი ინფორმაცია მენტალური ჯანმრთელობისთვის.ამ ნაშრომში განხილულია,როგორ შეიძლება ვირუსის გავრცელება შემცირდეს და ახალი ამბების ნეგატიურ კონტექსტში გადმოცემამ იკლოს(Zhaohui Su, 2021).

1990-იან წლებში მთელი რიგი მკვლელობების, ძალადობის, თვითმკვლელობისა და სხვა ფაქტების უგულებელყოფის ინციდენტების შემდეგ, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანებზე საზოგადოების ზრუნვის პოლიტიკა ინტენსიური ყურადღების ქვეშ მოექცა.

ბოლო დროს საქართველოში დაფიქსირდა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მაღალი დონე, შემუშავდა სტრატეგიები,რომლებიც ადამიანებს მენტალური ჯანმრთელობის პრობლემებისგან მეტად დაიცავს და მენტალური ჯანმრთელობის სფეროს ინოვაციები ამას საქართველოში მხარს უჭერს.

მედია განსაკუთრებით აქტიურობდა მსგავსი შემთხვევევების გაშუქებაზე. ეს ნაშრომი (Media influences on mental health policy: long-term effects of the Clunis and Silcock cases. *International Review of Psychiatry*) მიზნად ისახავს იმ გზების შესწავლას, თუ

როგორ იმოქმედა ერთი კონკრეტული შემთხვევის თაობაზე გამოქვეყნებულმა მასალამ ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკის შემუშავებაზე. ემსახურებოდა თუ არა დამატებითი შეზღუდვების დაწესება ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანებისთვის რისკისა და საშიშროების შესახებ საზოგადოების შეშფოთების საპასუხოდ დანერგილ პოლიტიკას (Hallam, 2009).

საკითხის ისტორია

საკვლევ თემად ანი მურადელის ქეისი ავიღეთ, რადგან ეს არის ერთ-ერთი შემთხვევა, როცა უკვე დადგენილია, რომ მას ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა ჰქონდა და მის ქმედებას გარკვეული ნაბიჯები მოჰყვა.

ის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის პრიმა ბალერინა, წამყვანი სოლისტი იყო. ანი 15-18 წელი სცენაზე იდგა და გედის პარტიის 80 საუკეთესო შემსრულებლიდან ერთ-ერთი იყო.

36 წლის ანი მურადელი 2017 წლის 21 მაისს საკუთარი დედის მკვლელობისთვის დააპატიმრეს. ის განზრახ მკვლელობისთვის გასამართლდა (სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლი) და სასამართლომ იძულებითი მკურნალობა დაუნიშნა. ის ხონის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში გადაიყვანეს, სადაც მკურნალობა წელიწადით და ექვსი თვით დაენიშნა.

ანი მურადელი აყვანილი შვილი იყო. დედამ, რომელიც აკადემიურ სფეროში მოღვაწეობდა, ის მინსკის ბავშვთა სახლიდან ორი წლის ასაკში აიყვანა. ანიმ, და არა მხოლოდ მან, არ იცოდა, რომ ნაშვილები იყო.

ანი მურადელი და მისი 84 წლის დედა ერთად ცხოვრობდნენ. ლევან მურადელი,ანის მამა (მუსიკოსი, სახელმწიფო კაპელის ერთ-ერთი წევრი) დედის მკვლელობამდე რამდენიმე წლით ადრე დაიღუპა. ანი დაოჯახებული იყო. მისი მეუღლე რეზო მაღალაშილი გახლდათ, მაგრამ ისინი განქორწინდნენ.

შემთხვევამდე რამდენი წლით ადრე ბალერინამ ფეხის ტრავმა მიიღო და ცოტა ხნით ცეკვას ჩამოშორდა. ამდენი სტრესის შემდეგ მან სმა დაიწყო, თუმცა იმისთვის, რომ ბალერინას ალკოჰოლის მიღება შეეწყვიტა და სცენას დაბრუნებოდა, უდიდესი წვლილი ნინო ანანიაშვილს მიუძღვის.

შემთხვევის ღამეს მეზობლებს ანის სახლიდან კივილის ხმა ესმოდათ. ამის შესახებ მათ ანის დეიდას შეატყობინეს. სახლში მიცვალებული ხალიჩაზე ესვენა. ანიმ გარდაცვლილ დედასთან ერთად 24 საათი გაატარა. ის ბლაგვი საგნის მეშვეობით მოკლა.

დაპატიმრების შემდეგ ანი მურადელის სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყდა, რადგან ექსპერტიზის დასკვნის შედეგად, როდესაც მან დედა მოკლა, თავის ქმედებებს ვერ იაზრებდა.

მკურნალობის დასრულების შემდეგ, ანი მურადელი სარეაბილიტაციო დაწესებულებიდან იმ სახლში დაბრუნდა, სადაც მან დედა მოკლა. მან ემოციების ექსპრესია ხატვით მოახდინა. ანი მურადელმა ხატვა ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში დაიწყო და სახლში დაბრუნების შემდეგაც არ შეუწყვეტია ნახატების შექმნა. ინტერვიუში "ყველაფრის უკან დაბრუნება რომ შეიძლებოდეს..“, ის ამბობს - „ნახატებში მაქვს დახატული იმ მომენტის განცდა და მერე ამ განცდიდან გავთავისუფლდი. ვთვლი, რომ ეს საჭირო იყო, რადგან მე ახლა ვერ წარმოვიდგენდი ცხოვრებას ისევ იმ განცდაში რომ ჩავრჩენილიყავი“ (palitravideo.ge).

კვლევის დიზაინი

იმისათვის, რომ გაგვენალიზებინა, თუ როგორ შუქდება ქართულ ონლაინ მედიაში ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირების საკითხები, ანი მურადელის ქეისი ავიღეთ. მან 2017 წლის 20 მაისს საკუთარი დედა მოკლა.

კვლევის მიზანია გავიგოთ, შუქდება თუ არა სწორად მენტალური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირების საკითხები მედიაში.

ეს ქეისი კონტენტ-ანალიზის მეშვეობით შევისწავლეთ, ხოლო დამატებით შეკითხვებზე პასუხის გასაცემად ექსპერტებთან და ჟურნალისტებთან სიღრმისეული ინტერვიუები ჩავატარეთ.

კვლევის დასაწყისში ჩამოყალიბდა ჰიპოთეზა: ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პირების საკითხები ქართულ ონლაინ მედიაში ჯერ კიდევ არასწორად შუქდება.

იმისთვის, რომ ეს ჰიპოთეზა კვლევის შედეგად დავადასტუროთ ან უარვყოთ, ჩამოყალიბდა საკვლევი კითხვები:

- არის თუ არა ჟურნალისტი ემპათიური მენტალური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირების გაშუქებისას?
- რა ტერმინებს იყენებს მედია მენტალური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანების საკითხების გაშუქებისას?
- რამდენად დაცულია ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირის პირადი სივრცე და ცხოვრება?
- ითვალისწინებს თუ არა მედია ქარტიის ფსიქიკური ჯანმრთელობის გაშუქების სახელმძღვანელოს წესებს ინფორმაციის გამოქვეყნებისას?
- მიყვება თუ არა მედიასაშუალება ამბავს ისტორიის დასრულებამდე?

ამ შეკითხვებზე პასუხების მისაღებად ონლაინ მედია შევისწავლეთ. საკვლევ პერიოდად 2017-2021 წლები ავიღეთ - ეს არის ანი მურადელის დაპატიმრებიდან გამოჯანმრთელებამდე პერიოდი, როცა მედიაში ეს შემთხვევა განიხილებოდა.

განვიხილეთ 13 მედიასაშუალებაში განთავსებული 30 სტატია.

მედიასაშუალებები:

- reitingi.ambebi.ge;
- sarkenews.ge;
- akhalitaoba.ge;
- old.primetime.ge;
- ghn.ge;
- kvirispalitra.ge;
- old.tbiliselebi.ge;
- old.newposts.ge;
- intermedia.ge;
- itv.ge;
- kvira.ge;
- tia.ge;
- fortuna.ge.

კონტენტ-ანალიზი

საკვლევ პერიოდში ჩვენ მიერ შესწავლილ მედია საშუალებებში სულ გამოქვეყნდა 30 სტატია. ძირითადად, გამოყენებული იყო ახალი ამბების ფორმატი.

გთავაზობთ, თითოეულ მედიასაშუალებაში გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობას (იხილეთ ცხრილი N1 და ცხრილი N2)

ცხრილი N1

მედია	**Reitingi.ambebi.ge**	**Sarkenews.ge**	**Akhalitaoba.ge**
სტატიების რაოდენობა	5	2	3

ცხრილი N2

მედია	**Old.primetime.ge**	**Ghn.ge**	**Kvirispalitra.ge**	**Old.tbiliselebi.ge**	**Old.newposts.ge**
სტატიების რაოდენობა	1	2	8	1	1
მედია	**Intermedia.ge**	**Itv.ge**	**Kvira.ge**	**Tia.ge**	**Fortuna.ge**
სტატიების რაოდენობა	2	2	1	1	1

ტერმინების გამოყენება

ტერმინების გამოყენების თვალსაზრისით, ჩვენ მიერ შესწავლილ მასალათა ნაწილში (14 სტატია) ჟურნალისტი სწორად იყენებს მათ.

მასალათა ნაწილში (16 სტატია) ჟურნალისტები არასწორ ტერმინოლოგიას იყენებენ. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის გაიდლაინის მიხედვით, სწორი ტერმინებია - ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირი, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა.

საკვლევ ერთეულებში დარღვეული იყო ეს ნაწილი და გვხვდებოდა შემდეგი ტერმინები:

1. შეურაცხადი;
2. ფსიქიკური პრობლემები;
3. შეშლილი;
4. ჭკუიდან შეშლილი;
5. ფსიქიკურად გაუწონასწორებელი[2]

წყაროს სწორად გამოყენება

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის გაიდლაინის მიხედვით, წყაროს კომენტარებში არ შეიძლება ყურადღება გამახვილდეს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემაზე, მიუხედავად იმისა, ახლობელი, თვითმხილველი ან სხვა პირი იტყვის თუ არა მსგავს რამეს. ჩვენ მიერ შესწავლილი 30 სტატიიდან 12 მასალაში მედია წყაროს მიერ გაკეთებულ ამგვარ კომენტარს ასაჯაროებს,მაგალითად:

1. ,,ამბობენ, რომ ანი მურადელს რთული პირადი ცხოვრებიდან გამომდინარე, დეპრესიული პერიოდები ჰქონდა“[3] ;

[2] თეა ხურცილავა, "როცა დეპრესიაში იყო, ეს მის ნახატებშიც ჩანდა - რას ჰყვებიან დედის მკვლელობაში ბრალდებულ ბალერინაზე ახლობლები“, kvirispalitra.ge, 29.05.2017, 09:00, ხელმისაწვდომია: https://kvirispalitra.ge/article/35100-qroca-depresiashi-iyo-es-mis-nakhatebshic-chandaq-ras-hyvebian-dedis-mkvlelobashi-braldebul-balerinaze-akhloblebi/ (ბოლო ნახვა 24.01.2024);

[3] ავტორის ვინაობა არ არის ცნობილი,"გამოდის, გოგონა, რომელიც გაზარდეს, მათთვის არაფერს წარმოადგენდა" - დედის მკვლელობისთვის ბრალდებული ბალერინას ტრაგიკული ისტორია, reitingi.ambebi.ge, 22.05.2017.

2. „ბალერინას მეგობრები ამბობენ, რომ მურადელს დეპრესიული პერიოდები ხშირად ჰქონდა[4].

ჟურნალისტის ემპათია

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის გაიდლაინის მიხედვით, მედიამ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირი უნდა გააშუქოს ისე, რომ ბულინგის მსხვერპლი არ გახდეს. განხილული მასალებიდან 7 სტატიაში ჟურნალისტი, ამ შემთხვევაში, ანი მურადელის მიმართ ემპათიას არ იჩენს,მაგალითად - „ცხოვრობს სახლში, სადაც დედა მოკლა... ყვავილებით ადის დედის საფლავზე“ – გახმაურებული მკვლელობის ფიგურანტი ბალერინა თავისუფალია“[5]

ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირის პირადი სივრცე და ცხოვრება

მედიასივრცეში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, მენტალური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირის თანხმობის გარეშე მისი პირადი საკითხების გასაჯაროებით ირღვევა პირადი სივრცის და ცხოვრების ხელშეუხებლობის პატივისცემის უფლება. განხილული მასალებიდან ასეთი მაგალითები 5 სტატიაში შეგვხვდა,მაგალითად: „პრიმაბალერინას პირად ცხოვრებაში დეპრესიული პერიოდიც ჰქონდა“;

ხელმისაწვდომია: https://reitingi.ambebi.ge/aqtualuri-sakhe/11430-qgamodis-gogona-romelic-gazardes-maththvis-arafers-tsarmoadgendaq-dedis-mkvlelobisthvis-braldebuli-balerinas-tragikuli-istoria.html?lang=ka-GE (ბოლო ნახვა 22.01.2024)

[4] ავტორის ვინაობა არ არის ცნობილი, “დედის მკვლელობაში ბრალდებულ ანი მურადელს ფსიქიატრიული ექსპერტიზა ჩაუტარდა“, ghn.ge, 27.06.2017, 15:51, ხელმისაწვდომია: https://www.ghn.ge/news/180008 (ბოლო ნახვა 23.01.2024)

[5] ავტორი: მარი ჯაფარიძე, “ცხოვრობს სახლში, სადაც დედა მოკლა... ყვავილებით ადის დედის საფლავზე“ – გახმაურებული მკვლელობის ფიგურანტი ბალერინა თავისუფალია“, old.primetime.ge, 17.06.2020, 20:10, ხელმისაწვდომია: https://old.primetime.ge/exclusive-tskhovrobs-sakhlshi-sadats-deda-mokla-kvavilebit-adis-dedis-saflavze-gakhmaurebuli-mkvlelobis-figuranti-balerina-tavisufalia (ბოლო ნახვა 23.01.2024);

ადამიანის პრობლემის სენსაციურად მოხსენიება

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის გაიდლაინის მიხედვით, მედია ვალდებულია თავი აარიდოს ადამიანის პრობლემის სენსაციურ კონტექსტში გამოქვეყნებას. შესწავლილი მასალებიდან 9 სტატიაში სენსაციურ სათაურებს ვხვდებით,მაგალითად:

1. „დედა წამებით მოკლა. ჩემი და შველას ითხოვდა - თბილისელი ბალერინას საქმე,რომელმაც მთელი ქვეყანა შეძრა - ანი მურადელი თავისუფალია“[6];
2. „ჩემი და წამებით მოკლა,მერე 24 საათი გვამთან ერთად იყო - ანი მურადელი თავისუფალია“[7];

მიყვება თუ არა მედიასაშუალება ამბავს ისტორიის დასრულებამდე?

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის გაიდლაინის მიხედვით, მედია ვალდებულია აუდიტორიას ისტორიის დასასრულზეც მოახსენოს. აუცილებელია, ხალხმა გაიგოს იმის შესახებ, რომ მენტალური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირმა იმკურნალა. შესწავლილ მასალათა ნაწილში (12 სტატია) ეს ეთიკური ნორმა არის დარღვეული,მაგალითად:

1. ონლაინ მედიას (akhalitaoba.ge) 2017 წლის შემდეგ ანი მურადელის შესახებ სტატია აღარ გამოუქვეყნებია,შესაბამისად,მისი მენტალური ჯანმრთელობის პრობლემის დაძლევის შესახებ ვერაფერს ვკითხულობთ;
2. ონლაინ მედიას (ghn.ge) ბალერინას შესახებ ბოლო სტატია 2017 წელს აქვს გამოქვეყნებული[8].

---

[6] ავტორის ვინაობა არ არის ცნობილი, „დედა წამებით მოკლა.ჩემი და შველას ითხოვდა.თბილისელი ბალერინას საქმე,რომელმაც მთელი ქვეყანა შეძრა,ანი მურადელი თავისუფალია“, sarkenews.ge, 18.07.2020, 20:09, ხელმისაწვდომია: https://sarkenews.ge/2020/06/deda-tsamebith-mokla-chemi-da-shvelas-ithkhovda-thbiliseli-balerinas-saqme-romelmats-mtheli-qveqhana-shedzra-ani-muradeli-thavisuphalia/ (ბოლო ნახვა 22.01.2024);

[7] ავტორის ვინაობა არ არის ცნობილი, “ჩემი და წამებით მოკლა,მერე 24 საათი გვამთან ერთად იყო - ანი მურადელი თავისუფალია“, sarkenews.ge, 21.09.2021, 12:46, ხელმისაწვდომია: https://sarkenews.ge/2021/09/chemi-da-tsamebith-mokla-mere-24-saathi-gvamthan-erthad-iqho-ani-muradeli-thavisuphalia/ (ბოლო ნახვა 22.01.2024);

მენტალური ჯანმრთელობის პრობლემის ერთ კონტექსტში მოხსენიება

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის გაიდლაინის მიხედვით, არ შეიძლება ყველა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის ერთად, ერთ კონტექსტში მოხსენიება, რადგან სხვადასხვა დიაგნოზი არსებობს და კონკრეტიკას საჭიროებს. საკვლევი მასალებიდან 1 სტატიაში ირღვევა ეს ნაწილი - „ფსიქიკური პრობლემებიც ჰქონდა“[9].

დიაგნოზის თქმის ვალდებულება

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის გაიდლაინის მიხედვით, თუ ჟურნალისტი დიაგნოზზე ყურადღებას ამახვილებს, ამ შემთხვევაში, ჟურნალისტი ვალდებულია გამოაქვეყნოს ექიმის დასტური ან სასამართლო დადგენილება.შესწავლილი მასალებიდან 8 სტატიაში ეს ნაწილი დარღვეულია, მაგალითად:

1. „ფსიქიკური პრობლემებიც ჰქონდა“[10]
2. „ანი მურადელი დეპრესიაში ხშირად იყო“[11]

reitingi.ambebi.ge-ის მიხედვით, 2017 წლის 22 მაისს დაწერილ სტატიაში ეთიკური ნორმები არ არის დარღვეული. იმავე დღეს, გამოქვეყნდა მეორე სტატიაც, სადაც ანის კოლეგები ამბობენ, რომ მას ჰქონდა დეპრესიული პერიოდები, რომელზე ხაზგასმაც მედიის მხრიდან დაუშვებელია. 2017 წლის 29 ივლისს ამავე ონლაინ მედიის

---

[8] ავტორის ვინაობა არ არის ცნობილი, “ანი ფაქტობრივად ახლა იაზრებს რაც მოხდა - დედის მკვლელობაში ბრალდებული ანი მურადელის მეგობარი“, ghn.ge, 26.10.2017, 15:48, ხელმისაწვდომია: https://www.ghn.ge/news/189538 (ბოლო ნახვა 23.01.2024)

[9] მანანა გაბრიჭიძე, "გამოდის, გოგონა, რომელიც გაზარდეს, მათთვის არაფერს წარმოადგენდა - დედის მკვლელობისთვის ბრალდებული ბალერინას ტრაგიკული ისტორია“, kvirispalitra.ge, 22.05.2017, 09:01, ხელმისაწვდომია: https://kvirispalitra.ge/article/35021-qgamodis-gogona-romelic-gazrades-maththvis-arafers-tsarmoadgendaq-dedis-mkvlelobisthvis-braldebuli-balerinas-tragikuli-istoria/ (ბოლო ნახვა 24.01.2024)

[10] იქვე
[11] იქვე

სტატიაში არასწორ ტერმინს - შეურაცხადობა - ვხვდებით. ასევე, 29 ივლისს მეორე სტატიაც არის გამოქვეყნებული, სადაც ეთიკური ნორმები არ არის დარღვეული. 2017 წლის 2 აგვისტოს დაწერილი სტატიის ლიდში შეცდომას ვაწყდებით. არასწორია ტერმინის გამოყენება - შეურაცხადი. ასევე, ანი მურადელის პირადი სივრცე ირღვევა, ნახსენებია, რომ მას სიყვარულში არ უმართლებდა. აგრეთვე, არც ერთი სტატია არ არის დაწერილი იმის შესახებ, რომ ანი მურადელმა მკურნალობა დაასრულა, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა დაძლია და დღეს ის ცხოვრებას განაგრძობს.

sarkenews.ge-ის მიხედვით,ანი მურადელის ქეისზე ორი სტატიას ვხვდებით და ორივე სტატიის სათაურშივე არის ეთიკური ნორმა დარღვეული. ორივე სათაური სენსაციურია, რასაც მედია თავს უნდა არიდებდეს. ამგვარი სათაურები - („დედა წამებით მოკლა.ჩემი და შველას ითხოვდა - თბილისელი ბალერინას საქმე,რომელმაც მთელი ქვეყანა შეძრა - ანი მურადელი თავისუფალია“, “ჩემი და წამებით მოკლა,მერე 24 საათი გვამთან ერთად იყო - ანი მურადელი თავისუფალია“) იმის მანიშნებელია, რომ ჟურნალისტი ანის მიმართ ემპათიური არ არის.

2020 წლის 18 ივნისს გამოქვეყნებულ სტატიაში არასწორ ტერმინს ვაწყდებით. აქაც,როგორც ონლაინ მედიაში, reitingi.ambebi.ge სიტყვა „შეურაცხადს“ ვკითხულობთ. 2020 წელს დაწერილ სტატიაში ვხვდებით ახლობლის - დეიდას სიტყვებს. ის ამბობს, რომ ანიმ ქმედება გაცნობიერებულად ჩაიდინა. ამგვარი ინფორმაციის გაშუქება მედიის მხრიდან არასწორია, რადგან უკვე დადგენილია ანი მურადელის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის ქონა და მან ყველაფერი გაუცნობიერებლად ჩაიდინა. მეორე სტატია,რომელიც 2021 წლის 21 სექტემბერს გამოქვეყნდა მხოლოდ სათაურშია ეთიკური ნორმა დარღვეული, („ჩემი და წამებით მოკლა,მერე 24 საათი გვამთან ერთად იყო - ანი მურადელი თავისუფალია“) მეორე შეცდომას მასალაში აღარ ვხვდებით.

akhalitaoba.ge-ის მიხედვით, ანი მურადელის შესახებ პირველი სტატია 2017 წლის 21 მაისს გამოქვეყნდა. სტატიაში აღნიშნულია, რომ მას პირად ცხოვრებაში

დეპრესიული პერიოდი ჰქონდა. ამ შემთხვევაში, მედიის მხრიდან ანის პირადი ცხოვრება არ არის დაცული. მეორე სტატია 2017 წლის 29 ივლისს არის გამოქვეყნებული. ამ სტატიაში ეთიკური ნორმები არ არის დარღვეული. იმავე წლის იმავე დღეს, შედარებით მოგვიანებით, მესამე სტატია დაიდო. ამ სტატიის სათაურშივე არის ორი შეცდომა. ტერმინი - შეურაცხადი, არასწორია. ამ სიტყვას მედიაში ლიდებში და არა მხოლოდ ლიდში, ყველა აბზაცში ვხვდებით („ანი მურადელი დედის მოკვლის დროს შეურაცხადი იყო“) ამ ონლაინ მედიაში მხოლოდ ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში გადაყვანაზე არის ინფორმაცია. reitingi.ambebi.ge-ის მსგავსად, ისტორიის დასასრულზე არაფერი წერია.

ონლაინ მედიაში, old.primetime.ge ვხვდებით მხოლოდ ერთ სტატიას, რომელიც 2020 წლის 17 ივნისს გამოქვეყნდა. ამ სტატიის სათაური სენსაციურია, ასევე, ჟურნალისტი არ ითვალისწინებს იმ ადამიანს, ვიზეც სტატიას აქვეყნებს და მის მიმართ ემპათიას არ იჩენს („ცხოვრობს სახლში, სადაც დედა მოკლა… ყვავილებით ადის დედის საფლავზე“ – გახმაურებული მკვლელობის ფიგურანტი ბალერინა თავისუფალია“).

ghn.ge-ის მიხედვით, ანი მურადელის შესახებ ორი სტატიაა გამოქვეყნებული. პირველ სტატიაში (2017 წელი, 27 ივნისი) გაშუქებულია, რომ ანის მეგობრები მის დეპრესიულ პერიოდებს ხაზს უსვამენ. მედიია ახლობლების მიერ პირად სივრცეზე გაკეთებული კომენტარების გაშუქებას თავს უნდა არიდებდეს. რაც შეეხება მეორე სტატიას, 2017 წლის 26 ოქტომბერს გამოქვეყნდა. სწორია, რომ მედია ადამიანის მკურნალობის პროგრესს განიხილავს, მაგრამ ისტორიის დასასრული არ ჩანს. 2017 წლის მერე ამ ონლაინ მედიაში ამ თემაზე მეტი სტატია არ დაწერილა.

ონლაინ მედიაში (kvirispalitra.ge) რვა სტატიას ვხვდებით. პირველ სტატიაში (2017 წელი, 22 მაისი), ghn.ge-ის მსგავსად, მედია ანის მეგობრების დეპრესიულ პერიოდზე გაკეთებულ კომენტარს აშუქებს. ასევე, დარღვეულია შემდეგი ეთიკური ნორმები:

ანი მურადელზე მისი მეგობარი ამბობს,რომ ფსიქიკური პრობლემები ჰქონდა[12].ამ წინადადებაში სამი ეთიკური ნორმა ირღვევა, რომელიც მედიამ გააშუქა,ესენია:

6. დიაგნოზი არ არის დასმული და ვარაუდით მოიხსენიებენ მის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემას;
7. ტერმინი - ფსიქიკური პრობლემები - არასწორია, სწორია - ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები;
8. ახლობლის მიერ მენტალური ჯანმრთელობის პრობლემის ქონაზე ხაზგასმა არ შეიძლება.

ასევე, ამავე სტატიაში წყარო არის ბალერონი, რომელიც ამბობს, რომ ანი დეპრესიაში ხშირად იყო, ვიცი, რომ რამდენჯერმე თვითმკვლელობაც სცადაო.ერთი კონკრეტული ეთიკის ნორმა ორჯერ დაირღვა, სადაც დიაგნოზი არ არის დასმული, არც ექიმის დასტურია.

მეორე სტატიაში, რომელიც 2017 წლის 24 მაისს გამოქვეყნდა ანისთან მიმართებით არასწორი ტერმინია გამოყენებული. ჟურნალისტი წერს,რომ მას „ფსიქიკური პრობლემები“ ჰქონდა[13]. ასევე, ნახსენებია, რომ ანი ფსიქონევროლოგიის დისპანსერში მკურნალობას გადიოდა. თუ ასეა, კონკრეტული დიაგნოზიც უნდა იყოს დასახელებული, რადგან ფსიქიკური ჯანმრთელობის სხვადასხვა პრობლემა არსებობს და ყველა პრობლემის ერთ კონტექსტში განხილვა დაუშვებელია.

---

[12] მანანა გაბრიჭიძე, "გამოდის, გოგონა, რომელიც გაზარდეს, მათთვის არაფერს წარმოადგენდა - დედის მკვლელობისთვის ბრალდებული ბალერინას ტრაგიკული ისტორია“, kvirispalitra.ge, 22.05.2017, 09:01, ხელმისაწვდომია: https://kvirispalitra.ge/article/35021-qgamodis-gogona-romelic-gazrades-maththvis-arafers-tsarmoadgendaq-dedis-mkvlelobisthvis-braldebuli-balerinas-tragikuli-istoria/ (ბოლო ნახვა 24.01.2024)

[13] თეა ხურცილავა, “ფეხზე ძლივს იდგა, სავსე დარბაზისთვის არც შეუხედავს - რა ხდებოდა დედის მკვლელობის ბრალდებით დაკავებული ბალერინას სასამართლო პროცესზე“, kvirispalitra.ge, 24.05.2017, 13:02, ხელმისაწვდომია: https://kvirispalitra.ge/article/35059-pexze-zlivs-idga-savse-darbazistvis-arc-sheuxedavs-ra-xdeboda-dedis-mkvlelobis-braldebit-dakavebuli-balerinas-sasamartlo-procesze/ (ბოლო ნახვა 24.01.2024)

მესამე სტატია 2017 წლის 29 მაისს გამოქვეყნდა. ამ სტატიის სათაურში ჟურნალისტი ანის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემას ჰიპოთეტურ ჭრილში მოიხსენიებს „როცა დეპრესიაში იყო, ეს მის ნახატებშიც ჩანდა“[14]. მედია ვალდებულია მსგავსი ეთიკური ნორმების დარღვევას თავი აარიდოს.

შემდეგი შეცდომა მედიის მხრიდან არის არასწორი ტერმინის გამოყენება. ვხვდებით ანი მურადელის ციტატას, რომელშიც ნახსენებია სიტყვა „შევიშლები“. ასევე, სტატიაში არის მეგობრის კომენტარი, სადაც ის ანის მენტალური ჯანმრთელობის პრობლემის ქონაზე საუბრობს და ანის პირადი სივრცე ირღვევა, ამასთან ერთად, ვაწყდებით მორიგ ორ არასწორ ტერმინს, რომელიც ანის ნათესავთან ინტერვიუში არის ნახსენები, ესენია: „ფსიქიკურად გაუწონასწორებელი“ და „საღი ჭკუა“. სამ შეცდომაზეა ყურადღება გასამახვილებელი. პირველი, ტერმინები, მეორე წყაროს მიერ ასეთი სიტყვებით გაკეთებული კომენტარი და მესამე, დიაგნოზის არქონის გარეშე ადამიანის ამ კუთხით გაშუქება[15].

2017 წლის 29 ივლისს გამოქვეყნდა მეოთხე სტატია, რომელშიც ეთიკური ნორმების დარღვევის მაგალითებს არ ვხვდებით. იმავე წლის იმავე დღეს, დაწერილია მეხუთე სტატია, რომლის სათაურში უკვე შეცდომაა, სენსაციურია და არასწორი ტერმინი - „შეურაცხადი“ არის გამოყენებული. ასევე, ეს ტერმინი ლიდშიც არის ორჯერ ნახსენები. მომდევნო აბზაცშიც ამ სიტყვას ორჯერ ვაწყდებით[16].

---

[14] თეა ხურცილავა, "როცა დეპრესიაში იყო, ეს მის ნახატებშიც ჩანდა - რას ჰყვებიან დედის მკვლელობაში ბრალდებულ ბალერინაზე ახლობლები“, kvirispalitra.ge, 29.05.2017, 09:00, ხელმისაწვდომია: https://kvirispalitra.ge/article/35100-qroca-depresiashi-iyo-es-mis-nakhatebshic-chandaq-ras-hyvebian-dedis-mkvlelobashi-braldebul-balerinaze-akhloblebi/ (ბოლო ნახვა 24.01.2024);

[15] თეა ხურცილავა, "როცა დეპრესიაში იყო, ეს მის ნახატებშიც ჩანდა - რას ჰყვებიან დედის მკვლელობაში ბრალდებულ ბალერინაზე ახლობლები“, kvirispalitra.ge, 29.05.2017, 09:00, ხელმისაწვდომია: https://kvirispalitra.ge/article/35100-qroca-depresiashi-iyo-es-mis-nakhatebshic-chandaq-ras-hyvebian-dedis-mkvlelobashi-braldebul-balerinaze-akhloblebi/ (ბოლო ნახვა 24.01.2024);

[16] ნათია დოლიძე, “ მკვლელობის მომენტში შეურაცხადი იყო - რას აცხადებს პროკურატურა დედის მკვლელობაში ბრალდებულ ბალერინაზე“, kvirispalitra.ge, 29.07.2017, 16:49, ხელმისაწვდომია: https://kvirispalitra.ge/article/36109-qmkvlelobis-momentshi-sheurackhadi-iyoq-ras-ackhadebs-prokuratura-dedis-mkvlelobashi-braldebul-balerinaze/ (ბოლო ნახვა 24.01.2024)

მეექვსე სტატიაში (2017 წლის 2 აგვისტო) ანი მურადელის პირადი ცხოვრების დეტალებზე ჟურნალისტი ღიად საუბრობს, ამბობს რომ ანი უიღბლო იყო. ასევე იყენებს არასწორ ტერმინს „შეურაცხადს“[17].

2017 წლის 7 აგვისტოს მეშვიდე სტატია გამოქვეყნდა. ისევ სიტყვა „შეურაცხადი“ ორჯერ გვხვდება. 7 აგვისტოს უკვე დამტკიცებულია, რომ ანიმ დედა გაუაზრებლად მოკლა, წყარო, ამ შემთხვევაში, დეიდა, ამბობს, რომ ანი თავის ქმედებებს აცნობიერებდა. ჟურნალისტი, ფაქტობრივად, ტყუილს ასაჯაროებს[18] .

ბოლო, მერვე სტატია 2017 წლის 12 აგვისტოს არის გამოქვეყნებული. სათაური არის სენსაციური და მედია არაემპათიურია ანი მურადელის მიმართ. მასში კვლავ არასწორ ტერმინს „შეურაცხადს“ ვხვდებით, მეორდება ეთიკური ნორმების დარღვევის მაგალითები, რომლებსაც წინა სტატიაში შევხვდით. ამ ონლაინ მედიაში ისტორია არ სრულდება, არაფერი წერია იმის შესახებ რომ ანიმ იმკურნალა და ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი დატოვა.

ონლაინ მედიაში, old.tbiliselebi.ge ვხვდებით მხოლოდ ერთ სტატიას, რომელიც 2017 წლის 6 ივნისს გამოქვეყნდა. მორიგი არასწორი ტერმინით ფორმულირებული წინადადება - „ნათესავები დარწმუნებული ვართ, რომ ანი ჭკუიდან შეიშალა“[19]. ამავდროულად, ეს წინადადება მედიის მხრიდან წყაროს მიერ გაცემულ პასუხში

---

[17] თეა ხურცილავა, "სულ ბოდიშებს იხდიდა. არ მახსოვს, რომ დავარტყი ან რა ვუთხარი დედასო - ანი მურადელის ტკივილიანი ცხოვრების დეტალები“, kvirispalitra.ge, 02.08.2017, 16:14, ხელმისაწვდომია: https://kvirispalitra.ge/article/36191-qsul-bodishebs-ikhdida-ar-makhsovs-rom-davartyi-an-ra-vuthkhari-dedasoq-ani-muradelis-tkiviliani-ckhovrebis-detalebi/ (ბოლო ნახვა 24.01.2024)

[18] ავტორის ვინაობა არ არის ცნობილი, "დედაჩემი მძიმე ქალია, მაგრამ რამე რომ მოუვიდეს, თავს მოვიკლავო... რას ამბობს დედის მკვლელობაში ბრალდებული ბალერინას დეიდა“, kvirispalitra.ge, 07.08.2017, 09:00, ხელმისაწვდომია: https://kvirispalitra.ge/article/36291-qdedachemi-mdzime-qalia-magram-rame-rom-mouvides-thavs-moviklavoq-ras-ambobs-dedis-mkvlelobashi-braldebuli-balerinas-deida/ (ბოლო ნახვა 24.01.2024)

[19] ქეთი მოდებაძე, “ რა გარემოებებმა მიიყვანა ანი მურადელი დედის მკვლელობამდე და რას განიცდიდა ის მთელი ცხოვრება“, old.tbiliselebi.ge, 05.06.2017, 12:59, ხელმისაწვდომია: https://old.tbiliselebi.ge/index.php?newsid=268450595 (ბოლო ნახვა 24.01.2024)

ფიქსირდება, რაც ეთიკის ნორმის დარღვევაა. ჟურნალისტის შეკითხვაში არის მომდევნო შეცდომა. დიაგნოზი არ არის დასმული და ვარაუდს გამოთქვამს, რომ ანის ალკოჰოლთან დაკავშირებული და ფსიქიკური პრობლემები ჰქონდა [20] ასევე, არასწორია ტერმინი „ფსიქოლოგიური პრობლემები“. ინტერვიუში ნახსენებია, რომ ანის ჰქონდა სუსტი ფსიქიკა, რაც იმ დროისთვის დადასტურებული არ არის, შესაბამისად, არასწორად არის გაშუქებული. ამ ონლაინმედიაში ამბავი აქ ჩერდება, ამის გარდა ანი მურადელის შესახებ ვერაფერს ვკითხულობთ.

old.newposts.ge-ზე ერთი სტატიაა (2017 წელი,22 მაისი) გამოქვეყნებული. სტატიის სათაური სენსაციურია. წყარო, ამ შემთხვევაში, კოლეგები, კომენტარს აკეთებენ იმის შესახებ, რომ ანის ჰქონდა დეპრესია, რაც ვარაუდით არის გაშუქებული. მისი დიაგნოზი არ არის დამტკიცებული და, ამასთან ერთად, ამას წყაროსგან ვიგებთ („სამი წელი არ შეეძლო ცეკვა, რის გამოც დეპრესია ჰქონდა“) [21]. ამ სტატიაშიც ისტორია აქ წყდება, ამბის გაგრძელებას ვეღარ ვკითხულობთ.

ონლაინ მედიაში (intermedia.ge) ანი მურადელის შესახებ ორ სტატიას ვხვდებით. პირველი სტატია,“ისნის რაიონში დედის მკვლელობაში ბრალდებული ყოფილი პრიმა-ბალერინა აღმოჩნდა“ 2017 წლის 21 მაისს გამოქვეყნდა. ამ სტატიაში ეთიკური ნორმების დარღვევის მაგალითები არ ჩანს. რაც შეეხება მეორე სტატიას (2017 წელი, 22 მაისი), სენსაციურად არის დასათაურებული - "ამიერიდან დიდ სცენას ციხის კარები შეცვლის... ბალერინას სტატუსი კი... დედის მკვლელით შეიცვლება!"ჟურნალისტი ანის მიმართ ემპათიური არ არის. დასახელებულია დიაგნოზი, დეპრესია, რომლის დამადასტურებელი წყაროც არაა ნახსენები. მედია

[20] ქეთი მოდებაძე, “ რა გარემოებებმა მიიყვანა ანი მურადელი დედის მკვლელობამდე და რას განიცდიდა ის მთელი ცხოვრება“, old.tbiliselebi.ge, 05.06.2017, 12:59, ხელმისაწვდომია: https://old.tbiliselebi.ge/index.php?newsid=268450595 (ბოლო ნახვა 24.01.2024)

[21] ავტორის ვინაობა არ არის ცნობილი, “დედის მკვლელობით დასრულებული კონფლიქტი - რას ჰყვებიან ბალერინას კოლეგები“, old.newposts.ge, 22.05.2017, 14:01, ხელმისაწვდომია: https://old.newposts.ge/?newsid=141322 (ბოლო ნახვა 24.01.2024)

სტატია სოციალურ ქსელში ლიკა ყაზბეგის მიერ დაწერილ პოსტს ურთავს. ავტორი წერს, რომ ანი მურადელს ექიმების და ფსიქოლოგების დახმარება სჭირდება. არც სასამართლოს დადგენილებაზეა რაიმე ნათქვამი, არც ექიმის დასტურზე, რომ მას მკურნალობა ნამდვილად ესაჭიროება. არც ამ სტატიაში არის საუბარი რეაბილიტაციასა და დადებით შედეგზე[22].

ონლაინ მედიაში - itv.ge - ორი სტატია გვხვდება და ეთიკური ნორმები არც ერთში არ არის დარღვეული. ორივე 2017 წლის 22 მაისს გამოქვეყნდა. ამ ონლაინ მედიის შეცდომა არის ის, რომ, როგორც წინა სტატიებში, ამბავს გაგრძელება არ აქვს.

რაც შეეხება kvira.ge-ს მიერ 2017 წლის 29 ივლისს გამოქვეყნებულ სტატიას - „სასამართლო დედის მკვლელობაში ბრალდებული ბალერინას საქმეზე განცხადებას ავრცელებს“ [23], ვხვდებით არასწორი ტერმინის „შეურაცხადის“ გამოყენებას. ამის შემდეგ ამ თემაზე აღარაფერი დაბეჭდილა.

არაემპათიური და სენსაციურია tia.ge-ს მიერ 2021 წლის 29 სექტემბერს გამოქვეყნებული მასალის სათაურიც - ,,ჩემი და წამებით მოკლა, მერე 24 საათი გვამთან ერთად იყო – ანი მურადელი თავისუფალია“ [24] .თუმცა, მასში წინა სტატიებისგან განსხვავებით, შედეგზე ინფორმაციას ვიღებთ. ანიმ ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი დატოვა, სახლში დაბრუნდა და დედის საფლავსაც ინახულებს.

---

[22] ციცი, "ამიერიდან დიდ სცენას ციხის კარები შეცვლის... ბალერინას სტატუსი კი... დედის მკვლელით შეიცვლება!", intermedia.ge, 22.05.2017, 08:31, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/xonnka (ბოლო ნახვა 24.01.2024)

[23] ავტორის ვინაობა არ არის ცნობილი, “სასამართლო დედის მკვლელობაში ბრალდებული ბალერინას საქმეზე განცხადებას ავრცელებს“, kvira.ge, 29.7.2017, 15:54, ხელმისაწვდომია: http://kvira.ge/343914 (ბოლო ნახვა 24.01.2024)

[24] ავტორის ვინაობა არ არის ცნობილი, “ჩემი და წამებით მოკლა, მერე 24 საათი გვამთან ერთად იყო – ანი მურადელი თავისუფალია“, tia.ge, 21.09.2021, ხელმისაწვდომია:

https://tia.ge/187930-chemi-da-wamebit-mokla-mere-24-saati-gvamtan-ertad-iyo-ani-muradeli-tavisufalia.html?fbclid=IwAR31v8HxqchAgwUdzo19WYvYI0qFTYywQ1OT4AmB1QAzQpH51BezaFo9VSc (ბოლო ნახვა 24.01.2024)

რაც შეეხება კიდევ ერთ მასალას - fortuna.ge-ზე 2017 წლის 29 ივლისს გამოქვეყნებულ სტატიას, მასში ეთიკური ნორმები არ არის დარღვეული, მაგრამ ამ სტატიაშიც არაფერია ნათქვამი ანი მურადელის ამბის საბოლოო შედეგზე.

სულ კვლევის პროცესში დადასტურდა, რომ ჟურნალისტები ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ადამიანის საკითხის გაშუქებისასაც კი სენსაციისკენ ისწრაფვიან. ამას ადასტურებს ჩვენ მიერ განხილული მაგალითები და ის, რომ 30 სტატიიდან 9 სენსაციური სათაურით გამოქვეყნდა. რაც შეეხება შემდგომ დარღვევას, არასწორ ტერმინოლოგიას, ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს თუ რამდენჯერ იქნა ისინი დარღვევით გამოყენებული (იხ. ცხრილი N3)

ცხრილი N3

გამოყენებული სიტყვა	**რაოდენობა**	**მედია**
შეურაცხადი	19	Reitingi.ambebi.ge Sarkenews.ge Akhalitaoba.ge Kvirispalitra.ge Kvira.ge
ფსიქიკური პრობლემები	3	Kvirispalitra.ge
შეშლილი	3	Kvirispalitra.ge
ჭკუიდან შეშლილი	1	Kvirispalitra.ge
ფსიქიკურად გაუწონასწორებელი	1	Kvirispalitra.ge

ამრიგად, ფსიქიკური ჯანმრთელბის მქონე პირის საკითხების გაშუქების შესახებ, ამ კონკრეტულ მაგალითის მიხედვით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დარღვეულია შემდეგი ეთიკური ნორმები:

1. ტერმინების გამოყენება;
2. წყაროს სწორად გამოყენება;
3. ჟურნალისტის ემპათია;
4. ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირის პირადი სივრცე და ცხოვრება;
5. ადამიანის პრობლემის სენსაციურად მოხსენიება;
6. ამბის ისტორიის დაუსრულებლობა;
7. მენტალური ჯანმრთელობის პრობლემის ერთ კონტექსტში მოხსენიება
8. დიაგნოზის თქმის ვალდებულება.

სიღრმისეული ინტერვიუ

კვლევის ამ ფორმამ საშუალება მოგვცა, რომ უფრო ღრმად შეგვესწავლა განსაზღვრული საკითხი. სიღრმისეული ინტერვიუ ოთხ კომპეტენტურ პირთან, ორ ჟურნალისტთან, ფსიქოლოგთან და მედიაფსიქოლოგთან ჩავატარეთ. ისინი სტრუქტურირებული მეთოდით გამოვკითხეთ. ექსპერტებმა, ჩვენ მიერ დასმულ ხუთ შეკითხვას უპასუხეს.

პირველ კითხვაზე, **„უნდა იყოს თუ არა ჟურნალისტი ემპათიური ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირების მიმართ?“,** ოთხივე რესპონდენტი ერთსა და იმავე მოსაზრებას იზიარებს. რესპონდენტმა, ჟურნალისტმა ფატი მამიაშვილმა უპასუხა, რომ ემპათია - ეს არის უნარი, რომელიც საშუალებას გვაძლევს, ემოციურად გავიაზროთ, რას გრძნობენ სხვა ადამიანები, დავინახოთ საგნები მათი გადმოსახედიდან და წარმოვიდგინოთ საკუთარი თავი მათ ადგილას, ანუ „გავიაროთ ერთი მილი სხვისი ფეხსაცმლით“. ემპათია ნიშნავს თანაგანცდას, ანუ სხვა ადამიანის ემოციური მდგომარეობის გაგებასა და გაზიარებას, მაგრამ, ყველა ინდივიდს (მათ შორის, ჟურნალისტებსაც) მსგავსი უნარი თანაბარი დოზით არ აქვს განვითარებული. ჟურნალისტურ საქმიანობაში კი ნამდვილად საჭიროა რესპონდენტების ემოციების გააზრების უნარის გამომუშავება, მით უფრო, მაშინ, როცა პროფესიული მოვალეობა გვავალდებულებს, გავიაროთ არაერთი მილი ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირის ფეხსაცმლით. ამ შემთხვევაში, ემპათიის „ნათელი მხარე“ საშუალებას გვაძლევს, მედიაეთიკის ნორმებისა და „არ ავნო“ პრინციპის გათვალისწინებით საზოგადოებას ვაჩვენოთ შშმ პირების რეალური ყოფა და არსებული გამოწვევები (აქ ასევე მნიშვნელოვანია ემპათიურობის ხარისხის კონტროლიც, რათა სხვა პირის ემოციის გაზიარება არ გახდეს ჟურნალისტის სტრესის საბაბი). ემპათიას უარყოფითი მხარეც აქვს. ჟურნალისტს ყოველთვის არ მოეთხოვება რესპონდენტის ემოცია გაიზიაროს მაშინ,

როცა საქმე ეხება ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირებთან ასოცირებულ სუიციდის, ძალადობის ან დანაშაულის შემთხვევებს. დიახ, მსგავს ფაქტებს სჭირდება გადამოწმება, შესწავლა, ანალიზი და დრო, რაც თანამედროვე ჟურნალისტებისთვის ძვირადღირებული შესაძლებლობაა.

ამდენად,ფატი მამიაშვილი ფიქრობს, რომ ჟურნალისტს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანების მიმართ უნდა გააჩნდეს მხოლოდ ობიექტური, სამართლიანი დამოკიდებულება და ზომიერი, საფუძვლიანი ემპათიურობის განცდა.

ჟურნალისტი ოლიკო ცისკარიშვილი პასუხობს, რომ ჟურნალისტი ემპათიური, რა თქმა უნდა,უნდა იყოს.

ამავე აზრისაა თსუ-ს პროფესორი, ფსიქოლოგი თამარ გაგოშიძე, რომელიც ამბობს, რომ ემპათია სხვა ადამინის მდგომარეობის მიმართ უნდა ჰქონდეს ყველა ადამიანს და ჟურნალისტი არაა გამონაკლისი, ამაზე მეტად ჟურნალისტს უნდა ჰქონდეს პროფესიული ეთიკა, რომელიც არ მისცემს მას საშუალებას, გამოიყენოს მიუღებელი ტერმინოლოგია, არ გაითვალისწინოს სხვა ადამიანის მდგომარეობა, ჰქონდეს არა შეფასებითი, არამედ აღმწერი ნარატივი.

მედიაფსიქოლოგი მარიამ გერსამია პასუხობს, რომ ჟურნალისტი, რა თქმა უნდა, ემპათიური უნდა იყოს. ზოგადად, როდესაც ჟურნალისტი მენტალური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირების საკითხებს აშუქებს, მომზადებული უნდა იყოს, იცოდეს როგორ დასვას კითხვა, როგორ დაელაპარაკოს რესპონდენტს, გავლილი უნდა ჰქონდეს კონსულტაციები შესაბამის სპეციალისტთან და ისე ჩაატაროს ინტერვიუ.

მეორე კითხვაზე, „თუ დაკვირვებიხართ მედია რა შეცდომებს უშვებს ამ საკითხის გაშუქების დროს და რა არის ამის ძირითადი მიზეზი?“ ჟურნალისტ ფატი მამიაშვილის აზრით, რეალობა აჩვენებს, რომ ხშირად საქმე გვაქვს ჟურნალისტურ გადაცდომებთან, მასტიგმატიზებელი ტერმინოლოგიის გამოყენებასა და, რაც

ყველაზე მეტად თვალშისაცემია, ფაქტების დამახინჯებასთან. რატომ? იმიტომ, რომ კორესპონდენტს, რომელმაც ახალი ამბები ოპერატიულად უნდა გააშუქოს, ხშირად სხვისი ემოციის გაზიარებისა და ფაქტების საფუძვლიანი შესწავლისთვის არ ჰყოფნის დრო ან კომპეტენცია. ამის პირველი მიზეზი არის მედიასაგანმანათლებლო პროგრამების ნაკლებობა. სამწუხაროდ, ფსიქიკური ჯანმრთელობის გაშუქება მედიისთვის პრიორიტეტულ საქმიანობად არ ითვლება და, შესაბამისად, აღნიშნულ თემატიკაზე მასალების მომზადება, არცთუ იშვიათად, ამ მიმართულებით ნაკლებადკვალიფიციურ კორესპონდენტებს უწევთ. ანუ მეორე მიზეზი დარგობრივი ჟურნალისტიკის არარსებობა და ვიწრო სპეციალობის ჟურნალისტების დეფიციტია.

რაც შეეხება შეცდომებს, რომელსაც მედია ყველაზე ხშირად უშვებს, არის:

9. ტერმინოლოგია, რომელიც ხშირად ხელს უწყობს დისკრიმინაციას და აღრმავებს სტიგმას;

10. მასტიგმატიზირებელი ფოტო/ვიდეო/გრაფიკული მასალები, რომელიც ინტერნეტში ადვილადაა ხელმისაწვდომი და ხშირად მედია გაუცნობიერებლად იყენებს ვიზუალური ეფექტებისთვის;

11. ცრუ იარლიყი - ნებისმიერი „ნორმიდან გადახვევა“ (ძალადობის, მკვლელობის, სუიციდის ფაქტები), რომელსაც მედია აშუქებს, ხშირად დაკავშირებულია ირიბ ეჭვებთან - დანაშაულის ჩამდენი ხომ არ იყო ფსიქიკური პრობლემების მქონე პირი?

12. არაეთიკური გაშუქება - შშმ პირების არაჰიგიენურობის ხაზგასმა, ქცევის, საუბრის,ჩაცმულობისა და საცხოვრებელი პირობების დაუფარავად ჩვენება;

13. მასტიგმატიზირებელი გამონათქვამების ტირაჟირება - მედია ხშირად აშუქებს მაღალი რანგის თანამდებობის პირებისა და ცნობილი ადამიანების საჯარო გამოსვლების ფრაგმენტებს, სადაც ისინი ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან

დაკავშირებულ სამედიცინო ტერმინოლოგიას სხვა პირთა დასაკნინებლად იყენებენ.

ჟურნალისტი ოლიკო ცისკარიშვილი ამბობს, რომ მედია ხშირად უშვებს შეცდომებს გაშუქების დროს, მედიაში გასულ მასალებში ხშირად ვხვდებით სიტყვებს და ტერმინებს, რომელიც არ არის მიზანშეწონილი, მაგალითად, გიჟი, შეშლილი და ა.შ. ხშირია რესპონდენტის იდენტიფიცირება, ხშირია ასევე დამნაშავესთან გაიგივება. ხშრად, რეიტინგის გამო, იყენებენ მყვირალა სათაურებს. „გავიხსენებდი ერთ მასალას, რომლის სათაური დაახლოებით ასე ჟღერდა: ფსიქიატრიულიდან გამოქცეულმა პაციენტმა კაცი მოკლა“. ასეთი მიდგომა ხელს წყობს სტერეოტიპების გაღრმავებას - ამბობს ის.

ოლიკო ცისკარიშვილის აზრით, ამ ყველაფრის მიზეზი არის ის, რომ უნივერსიტეტების უმეტესობაში არ ასწავლიან დარგობრივ ჟურნალისტიკას, სადაც მომავალ ჟურნალისტებს შეეძლებოდათ სიღრმისეულად და ეთიკური სტანდარტების დაცვით ემუშავათ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებზე. ხშირად მედიაში დასაქმებულნი არიან არაკვალიფიციური კადრებიც, რაც თავისთავად ხელს უწყობს მასალების არასწორ გაშუქებას. ხშირად სწორედ, ჟურნალისტები არიან სტერეოტიპების გამავრცელებლები.

ფსიქოლოგ თამარ გაგოშიძის თქმით, უპირველეს ყოვლისა, ასეთი სენსიტიური საკითხის გაშუქებისას ჟურნალისტმა უნდა მოიპოვოს სათანადო ინფორმაცია და გაეცნოს მას. როგორც წესი, ჟურნალისტები იმიტომ უშვებენ შეცდომებს, რომ არ იციან და არ აქვთ ინფორმაცია მენტალური ჯანრმთელობის საკითხებთან დაკავშირებით. განსაკუთრებით, ეს ეხება ტერმინოლოგიას. ჟურნალისტები ხშირად იყენებენ ყოველდღიურ სალაპარაკო ენაში გავრცელებულ და ხშრად დამამცირებელ ტერმინოლოგიას როცა საუბრობენ მენტალური ჯანმრთელობის საკითხებზე. გარდა ამისა, საკითხის არცოდნის გამო, ხშირად ჟურნალისტები ვერც ხვდებიან, რომ

ადამიანს უხერხულ მდგომარეობაში აყენებენ, არ ფიქრობენ იმაზე, რომ ასეთი ადამიანი უფრო ხშირად განიცდის სტრესს, თუნდაც ჩვეულებრივ ვითარებაში და არც იმაზე ფიქრობენ, რომ შეიძლება არ ჰქონდეს ტიპური რეაგირება სტრესზე. ან მაგალითად, ჟურნალისტებისთვის მთავარი პრიორიტეტია აუდიტორიის მიზიდვა, ნახვების სიმრავლე. სწორედ ამის გამო შეიძლება არასწორად გააშუქონ ისეთი სენსიტიური საკითხები, როგორებიცაა სუიციდი, ნივთიერების მავნე მოხმარება და ა.შ. მედია დიდი ძალაა საზოგადოების აზრის ფორმირებაში და დაუფიქრებელმა ნარატივმა შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს თინეიჯერების ფსიქიკას.

მედიაფსიქოლოგ მარიამ გერსამიას აზრით, იმისათვის, რომ დავაკვირდეთ, თუ რა შეცდომებს უშვებს მედია, კვლევა უნდა ჩატარდეს. ამის საფუძველზე უნდა გამოიკვეთოს ის შეცდომები, რომლებსაც მედია უშვებს ამ საკითხების გაშუქების დროს.

კითხვაზე, **„სჭირდება თუ არა ჟურნალისტს ამ კუთხით დატრენინგება, რომ მასალა სწორად გაშუქდეს?“**, ფატი მამიაშვილის თქმით, აუცილებელია ჟურნალისტი იზიარებდეს მედიაეთიკის პრინციპებს და ჰქონდეს შესაბამისი კვალიფიკაცია. სასურველია, თუ მომავალი ჟურნალისტები საუნივერსიტეტო პროცესშივე ეზიარებიან თანამედროვე ჟურნალიზმის სტანდარტებს, თუმცა ასევე ცხადია, რომ მასობრივი კომუნიკაციის ფაკულტეტის სტუდენტთა ან კურსდამთავრებულთა გარდა, მედიაორგანიზაციებში სხვადასხვა პროფესიის ადამიანებიც მუშაობენ, რომლებიც ასევე საჭიროებენ გადამზადებას. ამიტომ ენიჭება მნიშვნელოვანი როლი არაფორმალურ მედიაგანათლებას და მოკლევადიან სასწავლო კურსებს. დროის დეფიციტის გათვალისწინერებით, სასურველია, ტრენინგმოდულები და სასწავლო მასალები იყოს ციფრულ ფორმატში და შესაბამისად, ყველა მსურველისთვის ხელმისაწვდომი.

ამავე მოსაზრებას იზიარებს ოლიკო ცისკარიშვილიც. მისი აზრით, ჟურნალისტებს მუდმივად სჭირდებათ ტრენინგები, რათა ეთიკური ნორმების დაცვით გააშუქონ მასალები.

თამარ გაგოშიძის თქმით, უპირველეს ყოვლისა, ტრენინგამდე, ჟურნალისტმა კარგად უნდა მოიძიოს ინფორმაცია და შეისწავლოს საკითხი. ეს არ ეხება მხოლოდ მენტალური ჯანმრთელობის საკითხებს. ზოგადად, ჟურნალისტები აბსოლუტურად მოუმზადებულად აშუქებენ კონკრეტულ საკითხს. ეს ჩანს ფაქტობრივი მასალის დამახინჯებიდან, არასწორი ტერმინოლოგიიდან, საკითხის ისტორიის ან ფაქტების არცოდნიდან. შესაბამისად, იგივე ითქმის მენტალური ჯანმრთელობის საკითხებზეც. ჟურნალისტის პროფესიული ეთიკა და სინდისი უნდა ჩანდეს იმაში, თუ როგორ ამზადებს ჟურნალისტი მასალას, სწავლობს საკითხს და მხოლოდ ამის შემდეგ სვამს შეკითხვებს. რაც შეეხება ტრენინგს, ცხადია, ჟურნალისტებს სჭირდებათ ტრენინგი მენტალური ჯანმრთელობის საკითხების გაშუქებასთან დაკავშირებით. მისი აზრით, ტრენინგზე მეტად სჭრდებათ საბაზისო განათლება. თამარ გაგოშიძე მიიჩნევს, რომ ბაკალავრიატის საფეხური არ უნდა იყოს ჟურნალისტიკაში. ჟურნალისტობა ხელობაა, რომელსაც ცხოვრებისეული გამოცდილება და კარგი ზოგადი განათლება სჭირდება, რომელზეც შემდეგ დაშენდება ჟურნალისტური ჩვევები.

მარიამ გერსამიას აზრით, დატრენინგება აუცილებელია, რადგან, შესაძლოა, ჟურნალისტს არაადეკვატური რეაქცია ჰქონდეს, შეეტყოს რეაქციები, არ იყოს კარგად მომზადებული, ინტერვიუ ისე არ განვითარდეს, როგორც წარმოედგინა. რესპონდენტთან მისვლა კარგი მომზადების და განათლების შემდეგ არის შესაძლებელი.

კითხვაზე: **„თუ დაკვირვებიხართ ჟურნალისტები რა ტერმინებს იყენებენ და თუ არასწორ სიტყვებს იყენებენ, მაშინ რა ტერმინოლოგია უნდა გამოიყენონ, რომ სწორად გაშუქდეს?“** ფატი მამიაშვილმა აღნიშნა, რომ ზოგჯერ მედიაში შუქდება ფაქტები, როცა მაღალი რანგის თანამდებობის პირები და ცნობადი სახეები ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ სამედიცინო ტერმინებს იყენებენ არაკორექტულად, უადგილოდ და ხშირ შემთხვევაში, სხვა პირების დასამცირებლად, რაც ბუნებრივია, აძლიერებს სტიგმას და ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა დისკრიმინაციას. მისი თქმით, ტერმინოლოგიის კორექტულად გამოყენება თანამედროვე ჟურნალისტიკის თავსატეხია, რადგან ზოგიერთ ტერმინს აქვს გარკვეული დაშვებებიც და აკრძალვებიც. უფრო კონკრეტულად, შეზღუდული შესაძლებლობებისა და ჟურნალიზმის ეროვნული ცენტრის (NCDJ) „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ენის სტილის გზამკვლევის“ (National Center on Disability and Journalism) მიხედვით, ჟურნალისტებმა სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ ისეთ ტერმინთან, როგორიცაა „აშლილობა“, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ამ სიტყვის გამოყენება არ შეიძლება, მაგალითად, დადასტურებული სამედიცინო დიაგნოზის დასახელების შემთხვევაში. ტერმინები - „არანორმალური“ ან „ნორმალური“ დისკრიმინაციულია ადამიანის ქცევის შეფასებისას, მაგრამ სამეცნიერო ფენომენის აღწერისთვის ეს სიტყვები მისაღებია. NCDJ-ის რეკომენდაცია, არ გამოვიყენოთ სიტყვები - გიჟი, გაშმაგებული, შეშლილი, ფსიქო, თუმცა ამ აკრძალული ტერმინების მოხსენიებაც შესაძლებელია, როგორც ციტატის ნაწილი, თუკი ეს არსებითად მნიშვნელოვანია ჟურნალისტური ნაშრომისთვის.

ოლიკო ცისკარიშვილი ინტერვიუში ამბობს, რომ იყენებენ შემდეგ სიტყვებს - გიჟი, სულელი, დებილი, შეშლილი, ჭკუასუსტი, სულით ავადმყოფი, შიზოფრენიკი, პარანოიკი, ფსიქოპატი, ფსიხი, საგიჟეთი. ამ ტერმინების ნაცვლად კარგი იქნებოდა გამოეყენებინათ - ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანი.

თამარ გაგოშიძის დაკვირვებით, ხშირად საქმე ეხება არა მარტო ტერმინებს, რომელსაც უხვად იყენებენ, მაგ., შიზოფრენიკი, აუტისტი. სწორი ტერმინოლოგიაა, ამ მდგომარეობის მქონე: აუტიზმის მქონე, შიზოფენიის მქონე, დეპრესიის მქონე და ა .შ. ამას გარდა, არასწორი კონოტაციით და დამოკიდებულებით აშუქებენ ხოლმე ძალიან სენსიტიურ თემებს - მაგალითად, ახდენენ თვითმკვლელობის რომანტიზებას, დეპრესიის რომანტიზებას, ადიქციის მიმართ არასწორი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას უწყობენ ხელს, რადგან ცალმხრივად აშუქებენ საკითხს - მაგალითად, მარიჰუანას მოხმარებაზე, კლუბურ ნარკოტიკებზე, ნარკოტიკების მოხმარების ლეგალიზაციაზე.

მარიამ გერსამიას თქმით, ტერმინები - გიჟი, ვერ არის - ადამიანების სტიგმატიზაციას ახდენს. ადამიანს რომ მენტალური ჯანმრთელობის პრობლემა ჰქონდეს, ამის სტიგმატიზაციაც ხდება. ასევე, პრობლემა არის, რომ ამ საკითხზე საუბარი ტაბუირებული თემაა. მისი აზრით, კვლევა არის ჩასატარებელი, თუ როგორ ხდება სტიგმატიზაცია და არასწორი სტერეოტიპების ჩამოყალიბება.

დაბოლოს, კითხვაზე - **როგორ უნდა აშუქებდეს მედია მენტალური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირების საკითხებს?** ფატი მამიაშვილი მიიჩნევს, რომ მედია მენტალური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირების საკითხებს უნდა აშუქებდეს დაბალანსებულად, საერთაშორისო სტანდარტებისა და პროფესიული ეთიკის პრინციპების შესაბამისად. ფსიქიკური ჯანმრთელობის თემატიკა არის ფაქიზად და ყურადღებით შესასრულებელი სამუშაო, რომელიც მოითხოვს დიდ პასუხისმგებლობას,ზომიერ ემპათიურობას, დარგის სპეციალისტების ჩართულობას და გასაჯაროვებას ფაქტების გადამოწმების შემდეგ. ასევე საჭიროა შესაბამისი ფოტო/ვიდეო ან გრაფიკული მასალების დაკვირვებით შერჩევა, მით უფრო მაშინ, თუკი მულტიმედიურ პროდუქტს ვქმნით, რადგან სოციალური ქსელების

მომხმარებლის დაინტერესებისთვის ყველაზე მომგებიანია ეფექტური ვიზუალური კომუნიკაცია.

ოლიკო ცისკარიშვილის თქმით, უფრო მეტი სიფრთხილით უნდა აშუქებდეს, რომ უფრო მეტი ტრავმა არ მიაყენონ თავად ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანს და საზოგადოებაშიც სტიგმის გავრცელებას არ შეუწყონ ხელი.

ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირებს, როგორც ყველა ინდივიდს, კარიერა, ინტერესები აქვთ და ოჯახები ჰყავთ. თუ იმ ადამიანებს შევხვდებით, რომლებმაც ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მიუხედავად, წარმატებას მიაღწიეს ხელოვნებაში, პოლიტიკასა ან სხვა პროფესიონალურ ცხოვრებაში, ჟურნალისტები უნდა ეცადონ, მასალა ამის შესახებ სტატიისთვის გამოიყენონ. „დააკვირდით მათ გარკვეული დროის განმავლობაში და გაიგებთ, რამდენი სირთულის გავლა მოუწიათ წარმატებისთვის. რა რჩევას მისცემდნენ სხვა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირებს“! - მიმართავს ფატი მამიაშვილი ჟურნალისტებს.

ოლიკო ცისკარიშვილი ინტერვიუში ამბობს, რომ გაუმართლებელია ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირების მარგინალიზაცია. ეს დანაშაულია, რაზეც ბევრი არის სამუშაო. მენტალური ჯანმრთელობა და საზოგადოება განუყოფელი ნაწილებია. საზოგადოება ქმნის კანონს, აზრს და დამოკიდებულებას. ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ადამიანებთან ურთიერთობისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მათ გააჩნიათ ისეთივე უფლებები, როგორებიცაა უფლება ობიექტური და სრული ინფორმაციის მიღების, კონფიდენციალობის დაცვის, გადაწყვეტილების პროცესში მონაწილეობის, ღირსეული და არამჩაგვრელობითი მოპყრობის. ფსიქიკური ჯანმრთელობის

პრობლემები დანაშაულთან არ დააკავშიროთ. ისინი არიან მეტად უსაფრთხოები, ვიდრე ძირითადი მოსახლეობა.

თამარ გაგოშიძის თქმით, კარგი იქნება თუ მედია ხშირად დაუთმობს ადგილს და დროს მენტალური ჯანმრთელობის საკითხებს, რადგან, განსაკუთრებით პანდემიის შემდეგ, მენტალური ჯანმრთლეობის პრობლემებმა იმატა, განსაკუთრებით სტუდენტებში. კარგი იქნება გადაცემები, ინტერვიუები ექსპერტებთან ისეთ აქტუალურ საკთხებზე როგორებიცაა, შფოთვა და დეპრესია, სუიციდი, ნარკოტიკების მოხმარება, წყვილების ურთიერთობა და ა.შ.

მარიამ გერსამიას აზრით, ჟურნალისტი მავნე არ უნდა იყოს. არასწორად გაშუქებით, შესაძლოა, არამხოლოდ ერთი კონკრეტული ადამიანის, არამედ ჯგუფის სტიგმატიზაციაც მოახდინოს. მნიშვნელოვანია, სოლიდარობის ჟურნალისტიკას იცნობდეს, რადგან მხარს უჭერდეს მოწყვლად ჯგუფებს.

დასკვნა

ამრიგად, საკვლევ კითხვაზე: არის თუ არა ჟურნალისტი ემპათიური მენტალური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირების გაშუქებისას? ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ანი მურადელის ქეისზე დაყრდნობით ჟურნალისტები ემპათიურები ზოგიერთ შემთხვევაში არიან და ზოგიერთში - არა. ეს გამოწვეულია იმით, თუ რამდენად პასუხისმგებლიანი მედიის წარმომადგენელია ჟურნალისტი. მედია მენტალური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანების საკითხების გაშუქებისას იყენებს შემდეგ ტერმინებს:

- შეურაცხადი;
- შეშლილი;
- ჭკუიდან შეშლილი;
- ფსიქიკური პრობლემები;
- ფსიქიკურად გაუწონასწორებელი.

საკვლევ კითხვაზე, თუ რამდენად დაცულია ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირის პირადი სივრცე და ცხოვრება, აღმოჩნდა, რომ ჟურნალისტები გარკვეულ ნაწილში იცავენ პირადი სივრცის ზღვარს, გარკვეულ ნაწილში კი არა.

კითხვაზე - ითვალისწინებს თუ არა მედია ქარტიის ფსიქიკური ჯანმრთელობის გაშუქების სახელმძღვანელოს წესებს ინფორმაციის გამოქვეყნებისას კვლევამ აჩვენა, რომ მასალები ნაწილობრივ ეთიკის ფარგლებში იყო გაშუქებული, ნაწილობრივ - არა.

საკვლევ კითხვაზე: მიყვება თუ არა მედიასაშუალება ამბავს ისტორიის დასრულებამდე, აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ მედიაში ანი მურადელის მკურნალობასა და შედეგზე სტატიებს ვკითხულობთ,ზოგიერთ მედიაში - არა.

ამდენად, კვლევის დასაწყისში ჩვენ მიერ დასმული ჰიპოთეზა - ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პირების საკითხები ქართულ ონლაინ მედიაში ჯერ კიდევ არასწორად შუქდება - ზოგადი სურათის ანალიზის შედეგად, დადასტურდა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ მედიასაშუალებაში ეთიკის ნორმებს იცავენ, უმეტეს შემთხვევაში არ არის გათვალისწინებული „საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის ფსიქიკური ჯანმრთელობის გაშუქების სახელმძღვანელო წესები'' და „მედია სივრცეში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის სახელმძღვანელო პრინციპები''.

ბიბლიოგრაფია

Amir Hossein Yazdavar, M. S. (2020). Multimodal mental health analysis in social media. *Plos One*.

Berryman, F. (2017, november 1). Social Media Use and Mental Health among Young Adults.

Braghieri, L. (2022). Social Media and Mental Health. *American Economic Review*, 3660-93.

Chancellor, C. (2020). Methods in predictive techniques for mental health status on social media: a critical review. *npg Digital Medicine*.

Choudhury. (2013). Role of social media in tackling challenges in mental health. *Proceedings of the 2nd international workshop on Socially-aware multimedia*, (pp. 49–52).

Hallam. (2009). Media influences on mental health policy: long-term effects of the Clunis and Silcock cases. *International Review of Psychiatry*, 26-33.

Johnson. (2016). Bisexuality, Mental Health, and Media Representation. *Journal of Bisexuality*, 378-396 .

Klin, L. (2008). Mental Disorders Stigma in the Media: Review of Studies on Production, Content, and Influences. *Journal of Health Communication*, 434-449.

O'Reilly, D. (2018). Is social media bad for mental health and wellbeing? Exploring the perspectives of adolescents. *SAGE journals*.

Ray, H. (2009). Media Representation of Mental Disorders: A Study of ADD and. *Journal of Magazine Media*.

Ríssola, A. (2020). Beyond Modelling: Understanding Mental Disorders in Online Social Media. *European Conference on Information Retrieval*, (pp. 296–310).

Uban, C. (2021). An emotion and cognitive based analysis of mental health disorders from social media data. *Future Generation Computer Systems*, 480-494.

Zhaohui Su, D. M.-T. (2021). Mental health consequences of COVID-19 media coverage: the need for effective crisis communication practices. *Globalization and Health*.

გამოყენებული ლინკებისა და ონლაინ პუბლიკაციების

დანართი 1

1. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, "ფსიქიკური ჯანმრთელობის გაშუქების სახელმძღვანელო წესები", qartia.ge, 18.09.2017, ხელმისაწვდომია: https://www.qartia.ge/ka/sakhelmdzghvanelo-tsesebi1/article/36854-fsiqikuri-janmrthelobis-gashuqebis-sakhelmdzghvanelo-tsesebi (ბოლო ნახვა 25.01.2024);
2. პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის, "მედია სივრცეში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის სახელმძღვანელო პრინციპები", coe.int, 23.10.2017, ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/guidelines-safeguarding-privacy-in-media-coverage-georgian/1680760838 (ბოლო ნახვა 25.01.2024);
3. ავტორის ვინაობა არ არის ცნობილი, „ანი მურადელის ტკივილიანი ცხოვრების დეტალები", reitingi.ambebi.ge, 02.08.2017, ხელმისაწვდომია: https://reitingi.ambebi.ge/aqtualuri-sakhe/12099-ani-muradelis-tkiviliani-ckhovrebis-detalebi.html (ბოლო ნახვა 22.01.2024);
4. ავტორის ვინაობა არ არის ცნობილი, „რას ყვება დედის მკვლელობაში ბრალდებულის მეზობელი დედა-შვილის ურთიერთობაზე და ტრაგედიის ღამის " reitingi.ambebi.ge, 22.05.2017. ხელმისაწვდომია: https://reitingi.ambebi.ge/top-news/11436-ras-yveba-dedis-mkvlelobashi-braldebulis-mezobeli-deda-shvilis-urthierthobaze-da-tragediis-ghamis-shesakheb.html?lang=ka-GE (ბოლო ნახვა 22.01.2024);
5. ავტორის ვინაობა არ არის ცნობილი,"გამოდის, გოგონა, რომელიც გაზარდეს, მათთვის არაფერს წარმოადგენდა" - დედის მკვლელობისთვის ბრალდებული ბალერინას ტრაგიკული ისტორია, reitingi.ambebi.ge, 22.05.2017. ხელმისაწვდომია: https://reitingi.ambebi.ge/aqtualuri-sakhe/11430-qgamodis-gogona-romelic-gazardes-maththvis-arafers-tsarmoadgendaq-dedis-mkvlelobisthvis-braldebuli-balerinas-tragikuli-istoria.html?lang=ka-GE (ბოლო ნახვა 22.01.2024);
6. ავტორის ვინაობა არ არის ცნობილი,"დედის მკვლელობაში ბრალდებული ბალერინა ფსიქიატრიულში გადაიყვანეს", reitingi.ambebi.ge, 29.07.2017. ხელმისწავდომია: https://reitingi.ambebi.ge/top-news/12060-dedis-mkvlelobashi-braldebuli-balerina-fsiqiatriulshi-gadaiyvanes.html?lang=ka-GE (ბოლო ნახვა 22.01.2024);
7. ავტორის ვინაობა არ არის ცნობილი,"თბილისის საქალაქო სასამართლო დედის მკვლელობისთვის ბრალდებულ ანი მურადელთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს", reitingi.ambebi.ge, 29.07.2017. ხელმისწავდომია: https://reitingi.ambebi.ge/top-news/12061-thbilisis-saqalaqo-sasamarthlo-dedis-

mkvlelobisthvis-braldebul-ani-muradelthan-dakavshirebith-ganckhadebas-avrcelebs.html?lang=ka-GE (ბოლო ნახვა 22.01.2024);

8. ავტორის ვინაობა არ არის ცნობილი, „დედა წამებით მოკლა.ჩემი და შველას ითხოვდა.თბილისელი ბალერინას საქმე,რომელმაც მთელი ქვეყანა შეძრა,ანი მურადელი თავისუფალია“, sarkenews.ge, 18.07.2020, 20:09, ხელმისაწვდომია: https://sarkenews.ge/2020/06/deda-tsamebith-mokla-chemi-da-shvelas-ithkhovda-thbiliseli-balerinas-saqme-romelmats-mtheli-qveqhana-shedzra-ani-muradeli-thavisuphalia/ (ბოლო ნახვა 22.01.2024);
9. ავტორის ვინაობა არ არის ცნობილი, “ჩემი და წამებით მოკლა,მერე 24 საათი გვამთან ერთად იყო - ანი მურადელი თავისუფალია“, sarkenews.ge, 21.09.2021, 12:46, ხელმისაწვდომია: https://sarkenews.ge/2021/09/chemi-da-tsamebith-mokla-mere-24-saathi-gvamthan-erthad-iqho-ani-muradeli-thavisuphalia/ (ბოლო ნახვა 22.01.2024);
10. ავტორის ვინაობა არ არის ცნობილი, “ბალერინა ანა მურადელი დედის მკვლელობისთის დააკავეს - დედა,მარინე მინდორაშვილი,ასოცირებული პროფესორი იყო“, akhalitaoba.ge, 21.05.2017, 22:14, ხელმისაწვდომია: https://akhalitaoba.ge/2017/05/balerina-ana-muradeli-de/ (ბოლო ნახვა 23.01.2024);
11. ავტორის ვინაობა არ არის ცნობილი, “პრიმა-ბალერინა ანი მურადელის მიმართ სისხლის სამართლის საქმე შეწყდა“, akhalitaoba.ge, 29.07.2017, 15:04, ხელმისაწვდომია: https://akhalitaoba.ge/2017/07/prima-balerina-ani-murad/ (ბოლო ნახვა 23.01.2024);
12. ავტორის ვინაობა არ არის ცნობილი, “ანი მურადელი დედის მოკვლის დროს შეურაცხადი იყო - რატომ შეწყდა სისხლის სამართლებრივი დევნა ბალერინის მიმართ“, akhalitaoba.ge, 29.07.2017, 16:32, ხელმისაწვდომია: https://akhalitaoba.ge/2017/07/ani-muradeli-dedis-mokvl/ (ბოლო ნახვა 23.01.2024);
13. ავტორი: მარი ჯაფარიძე, “ცხოვრობს სახლში, სადაც დედა მოკლა… ყვავილებით ადის დედის საფლავზე“ – გახმაურებული მკვლელობის ფიგურანტი ბალერინა თავისუფალია“, old.primetime.ge, 17.06.2020, 20:10, ხელმისაწვდომია: https://old.primetime.ge/exclusive-tskhovrobs-sakhlshi-sadats-deda-mokla-kvavilebit-adis-dedis-saflavze-gakhmaurebuli-mkvlelobis-figuranti-balerina-tavisufalia (ბოლო ნახვა 23.01.2024);
14. ავტორის ვინაობა არ არის ცნობილი, “დედის მკვლელობაში ბრალდებულ ანი მურადელს ფსიქიატრიული ექსპერტიზა ჩაუტარდა“, ghn.ge, 27.06.2017, 15:51, ხელმისაწვდომია: https://www.ghn.ge/news/180008 (ბოლო ნახვა 23.01.2024);
15. ავტორის ვინაობა არ არის ცნობილი, “ანი ფაქტობრივად ახლა იაზრებს რაც მოხდა - დედის მკვლელობაში ბრალდებული ანი მურადელის მეგობარი“,

ghn.ge, 26.10.2017, 15:48, ხელმისაწვდომია: https://www.ghn.ge/news/189538 (ბოლო ნახვა 23.01.2024);

16. მანანა გაბრიჭიძე, "გამოდის, გოგონა, რომელიც გაზარდეს, მათთვის არაფერს წარმოადგენდა - დედის მკვლელობისთვის ბრალდებული ბალერინას ტრაგიკული ისტორია“, kvirispalitra.ge, 22.05.2017, 09:01, ხელმისაწვდომია: https://kvirispalitra.ge/article/35021-qgamodis-gogona-romelic-gazrades-maththvis-arafers-tsarmoadgendaq-dedis-mkvlelobisthvis-braldebuli-balerinas-tragikuli-istoria/ (ბოლო ნახვა 24.01.2024);
17. თეა ხურცილავა, “ფეხზე ძლივს იდგა, სავსე დარბაზისთვის არც შეუხედავს - რა ხდებოდა დედის მკვლელობის ბრალდებით დაკავებული ბალერინას სასამართლო პროცესზე“, kvirispalitra.ge, 24.05.2017, 13:02, ხელმისაწვდომია: https://kvirispalitra.ge/article/35059-pexze-zlivs-idga-savse-darbazistvis-arc-sheuxedavs-ra-xdeboda-dedis-mkvlelobis-braldebit-dakavebuli-balerinas-sasamartlo-procesze/ (ბოლო ნახვა 24.01.2024);
18. თეა ხურცილავა, "როცა დეპრესიაში იყო, ეს მის ნახატებშიც ჩანდა - რას ჰყვებიან დედის მკვლელობაში ბრალდებულ ბალერინაზე ახლობლები“, kvirispalitra.ge, 29.05.2017, 09:00, ხელმისაწვდომია: https://kvirispalitra.ge/article/35100-qroca-depresiashi-iyo-es-mis-nakhatebshic-chandaq-ras-hyvebian-dedis-mkvlelobashi-braldebul-balerinaze-akhloblebi/ (ბოლო ნახვა 24.01.2024);
19. ავტორის ვინაობა არ არის ცნობილი, “დედის მკვლელობაში ბრალდებულ პრიმა-ბალერინას აღარ გაასამართლებენ“, kvirispalitra.ge, 29.07.2017, 14:15, ხელმისაწვდომია: https://kvirispalitra.ge/article/36105-dedis-mkvlelobashi-braldebul-prima-balerinas-aghar-gaasamarthleben/ (ბოლო ნახვა 24.01.2024);
20. ნათია დოლიძე, “ მკვლელობის მომენტში შეურაცხადი იყო - რას აცხადებს პროკურატურა დედის მკვლელობაში ბრალდებულ ბალერინაზე“, kvirispalitra.ge, 29.07.2017, 16:49, ხელმისაწვდომია: https://kvirispalitra.ge/article/36109-qmkvlelobis-momentshi-sheurackhadi-iyoq-ras-ackhadebs-prokuratura-dedis-mkvlelobashi-braldebul-balerinaze/ (ბოლო ნახვა 24.01.2024);
21. თეა ხურცილავა, "სულ ბოდიშებს იხდიდა. არ მახსოვს, რომ დავარტყი ან რა ვუთხარი დედასო - ანი მურადელის ტკივილიანი ცხოვრების დეტალები“, kvirispalitra.ge, 02.08.2017, 16:14, ხელმისაწვდომია: https://kvirispalitra.ge/article/36191-qsul-bodishebs-ikhdida-ar-makhsovs-rom-davartyi-an-ra-vuthkhari-dedasoq-ani-muradelis-tkiviliani-ckhovrebis-detalebi/ (ბოლო ნახვა 24.01.2024);

22. ავტორის ვინაობა არ არის ცნობილი, "დედაჩემი მძიმე ქალია, მაგრამ რამე რომ მოუვიდეს, თავს მოვიკლავო... რას ამბობს დედის მკვლელობაში ბრალდებული ბალერინას დეიდა“, kvirispalitra.ge, 07.08.2017, 09:00, ხელმისაწვდომია: https://kvirispalitra.ge/article/36291-qdedachemi-mdzime-qalia-magram-rame-rom-mouvides-thavs-moviklavoq-ras-ambobs-dedis-mkvlelobashi-braldebuli-balerinas-deida/ (ბოლო ნახვა 24.01.2024);
23. თეა ხურცილავა, “ დანის ერთი დარტყმით რომ მოეკლა, ასე არ გავმწარდებოდი, წამებით მოკლა დედა“, kvirispalitra.ge, 12.07.2017, 09:00, ხელმისაწვდომია: https://kvirispalitra.ge/article/36261-qdanis-erthi-dartymith-rom-moekla-ase-ar-gavmtsardebodi-tsamebith-mokla-dedaq/ (ბოლო ნახვა 24.01.2024);
24. ქეთი მოდებაძე, “ რა გარემოებებმა მიიყვანა ანი მურადელი დედის მკვლელობამდე და რას განიცდიდა ის მთელი ცხოვრება“, old.tbiliselebi.ge, 05.06.2017, 12:59, ხელმისაწვდომია: https://old.tbiliselebi.ge/index.php?newsid=268450595 (ბოლო ნახვა 24.01.2024);
25. ავტორის ვინაობა არ არის ცნობილი, “დედის მკვლელობით დასრულებული კონფლიქტი - რას ჰყვებიან ბალერინას კოლეგები“, old.newposts.ge, 22.05.2017, 14:01, ხელმისაწვდომია: https://old.newposts.ge/?newsid=141322 (ბოლო ნახვა 24.01.2024);
26. ავტორის ვინაობა არ არის ცნობილი, “ისნის რაიონში დედის მკვლელობაში ბრალდებული ყოფილი პრიმა-ბალერინა აღმოჩნდა“, intermedia.ge, 21.05.2017, 17:48, ხელმისაწვდომია: https://bitly.ws/3aSkr (ბოლო ნახვა 24.01.2024);
27. ციცი, "ამიერიდან დიდ სცენას ციხის კარები შეცვლის... ბალერინას სტატუსი კი... დედის მკვლელით შეიცვლება!", intermedia.ge, 22.05.2017, 08:31, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/xonnka (ბოლო ნახვა 24.01.2024);
28. ავტორის ვინაობა არ არის ცნობილი,“ გოგონა, რომელიც დედის მკვლელობისთვის დააკავეს პრიმაბალერინაა“, itv.ge, 22.05.2017, 00:05:53, ხელმისაწვდომია: https://itv.ge/?m=19&CID=47019 (ბოლო ნახვა 24.01.2024);
29. ავტორის ვინაობა არ არის ცნობილი, “ დედის მკვლელობაში ეჭვმიტანილი ბალერინის ფოტოები“, itv.ge, 22.05.2017, 00:12:03, ხელმისაწვდომია: https://itv.ge/?m=19&CID=47020 (ბოლო ნახვა 24.01.2024);
30. ავტორის ვინაობა არ არის ცნობილი, “სასამართლო დედის მკვლელობაში ბრალდებული ბალერინას საქმეზე განცხადებას ავრცელებს“, kvira.ge, 29.7.2017, 15:54, ხელმისაწვდომია: http://kvira.ge/343914 (ბოლო ნახვა 24.01.2024);
31. ავტორის ვინაობა არ არის ცნობილი, “ჩემი და წამებით მოკლა, მერე 24 საათი გვამთან ერთად იყო – ანი მურადელი თავისუფალია“, tia.ge, 21.09.2021, ხელმისაწვდომია: https://tia.ge/187930-chemi-da-wamebit-mokla-mere-24-saati-

gvamtan-ertad-iyo-ani-muradeli-tavisufalia.html?fbclid=IwAR31v8HxqchAgwUdzo19WYvYI0qFTYywQ1OT4AmB1QAzQpH51BezaFo9VSc (ბოლო ნახვა 24.01.2024);

32. ავტორის ვინაობა არ არის ცნობილი, “ბალერინა ანი მურადელის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყდა“, fortuna.ge, 29.07.2017, ხელმისაწვდომია: https://fortuna.ge/fortuna/post/balerina-ani-muradelis-mimart-siskhlis-samartlebrivi-devna-shewyda (ბოლო ნახვა 24.01.2024);
33. ელენე ცინცაძე,გიორგი ძოწენიძე,ნანა უგულავა, "ყველაფრის უკან დაბრუნება რომ შეიძლებოდეს.. - პირველი ინტერვიუ ბალერინასთან, რომელიც დედის მკვლელობაში იყო ბრალდებული'', palitravideo.ge, 21.01.2019, 12:10, ხელმისაწვდომია: https://palitravideo.ge/video/103688-qyvelafris-ukan-dabruneba-rom-sheidzlebodesq-pirveli-interviu-balerinasthan-romelic-dedis-mkvlelobashi-iyo-braldebuli/ (ბოლო ნახვა 24.01.2024).